# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 25 დეკემბერი 2007 №298 (3221) ფასი 50 თეთრი


## საშობაო სურვილები ღვინით და ვისკით

## გია ლაბაძე: ჩვენი ლელო გაგვეტანოს!






## ტანა უმაგა: თქვენს ფურორს ველი!

## ქართულმა რევოლუციამ მსოფლიო გადაარჩინა

### ენდრიუ მერთენსისთვის ირლანდია — საქართველო სუპერფილმი იყო

- საქართველომ რაგბიში მცირე რევოლუცია მოაწყო. სწორედ ქართველების დამსახურებაა, რომ მომავალი მსოფლიოს თასის ფორმატი აღარ შეიცვლება
- ირლანდია – საქართველო ზღაპრული ჯახი გამოვიდა, კარგი სცენარისტი და რეჟისორი გულისამაჩუყებელ დრამას გადაიღებდა

ბაჩო სვანიძის ინტერვიუ ტანა უმაგასთან და გია ლაბაძესთან მე-13 გვერდზე, ენდრიუ მერთენსთან კი ხვალინდელ „სარბიელში"



ასეც ხდება ხოლმე და იმედია, მომავალშიც ხშირად მოხდება: **ზურაბ ხიზანიშვილი** „ბლექბერნის" ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა, თანაც, „ჩელსისთან" მატჩში და თანაც, ძალიან კარგად ითამაშა. „ხიზანას" გუნდმა ლონდონელებთან 0:1 წააგო, მაგრამ ქართველი 13 ნომერი ყინჩად ედგა ანდრეი შევჩენკოს და კომპანიას, ერთი-ორჯერ კი გოლის გასატანადაც გაიწია. მოკლედ, გუშინწინდელი თამაშის მიხედვით, ზურას დატვირთული ორკვირეული ელის — ინგლისურმა პრემიერლიგამ ხომ ახალი წელი არ იცის, ჰოდა, თუ ჩვენიანიც ძირითადში დაიმკვიდრებს ადგილს... ხიზანიშვილს ინგლისში დავუკავშირდით, ჯერ „ჩელსისთან" თამაშზე ვკითხეთ, მერე კი სხვაზეც, მათ შორის, გახმაურებულ სანაკრებო ამბებზეც ვთქვით...




# მე თუ მესმოდა ჰიუზის, ახლა მანაც გამიგოს!

## ზურაბ ხიზანიშვილი: სათქმელს თამაშით ვიტყვი

— ფრანგი ცენტრალური მცველი კრისტოფერ სამბა დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა შეხვედრას, თანაც, ბოლო მატჩებში „ბლექბერნი" სტაბილურად ველარ თამაშობდა, მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა შემადგენლობის შეცვლა გადაწყვიტა და შანსი მომეცა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე „ჩელსი" იყო, წაგება წაგებაა და გული დამწყდა. ჩემს თამაშს რაც შეეხება, მგონი, ნორმალურად გამოვიყურებდი. მატჩის შემდეგ ჰიუზმაც შემაქო.

— გოლის გატანაც შეგეძლო, როცა სახიფათო თავური აგიცდა...

— ამ თავურზე მეტად სხვა მომენტს აღვნიშნავდი — ჩვენმა თავდამსხმელმა თავით მოიგო ბურთი, რომელიც მე მომივიდა, აშკარად გასატანი იყო, მაგრამ ეტყობა, თავდამსხმელისთვის საჭირო საგოლე ალლო არ მეყო. მთლიანობაში, სამი-ოთხი მომენტი გვქონდა. გვეგონა, პეტრ ჩეხის დამტვრევა გაგვიადვილებდა საქმეს, მაგრამ მის ნაცვლად შემოსულმა ილარიომაც მაგრად ითამაშა.

— პრემიერლიგაში ოთხი გამოკვეთილი ლიდერია და „ბლექბერნისთვის" ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა თითქმის შეუძლებელი ჩანს. ანუ უეფას თასის საგზური?

— უეფას თასი შესაძლებელია. მეათე ადგილზე კი ვართ, მაგრამ წინა სეზონში ამ დროს 8 ქულით ნაკლები გვქონდა, ვიდრე ახლა.

— ისე ჩანდა, რომ ანდრეი შევჩენკოს მეურვეობდი. ეს მწვრთნელის დავალება იყო?

— არა, ისედაც შევჩენკო იყო გამოკვეთილი ფორვარდი და მასთან ყველაზე ხშირად მიწევდა ბრძოლა.

— უშუალო თამაშისას უფრო იგრძნობდი: ჩელსელი შევჩენკო ძალიან ჩამორჩება მილანელ შევჩენკოს?

— აშკარად. ისე ნამდვილად ველარ თამაშობს, როგორც „მილანში". მისგან დღესაც ელიან, ძველებურად ათამაშდებაო, ზოგიერთებმა კი ხაზი გადაუსვეს. ეტყობა, ინგლისს ვერ მოერგო, თორემ მართლაც ვერ შემიდარებია, სად ის შევჩენკო, „მილანში" ყველაფერს რომ გლეჯდა და სად ახლანდელი...

— ბევრჯერ გითამაშია მის წინაალმდეგ, მეტწილად, საქართველო — უკრაინის სანაკრებო მატჩებისას. არ გამოლაპარაკებიხართ ერთმანეთს?

— ერთი-ორი სიტყვა გავცვალეთ, თორემ ისე დიდი მეგობრები ჩვენ არ ვართ და...

— ამასწინათ ჰიუზმა შეგაქო და თქვა, ხიზანიშვილი ჩვენთვის საჭირო ფეხბურთელია და მასთან კონტრაქტის გაგრძელება გვსურსო. რა სიახლეა ამ მხრივ?

— კლუბის პრეზიდენტი ჩინეთში იყო და ხვალ ჩამოვა. როგორც გავიგე, ახალ წლამდე სურთ, კონტრაქტი გავაგრძელო. თითქმის გადაწყვეტილია, რომ გავაგრძელებ.

— მაგრამ თუ უმეტესად ისევ სათადარიგოთა სკამზე იქნები?

— ჰიუზის მშვენივრად მესმის. გუნდი წარმატებულად თამაშობდა და არ უნდოდა შემადგენლობის შეცვლა, მაგრამ „ჩელსისთან" დამაყენა და ის თამაში ვანახე, რასაც მთხოვდა. 27 დეკემბერს „მანჩესტერ სიტისთან" გვაქვს გასვლითი მატჩი და თუ ისევ არ მათამაშა, მაშინ ნაღდად დავფიქრდები, ღირს თუ არა კონტრაქტის გაგრძელება. მე თუ მესმოდა ჰიუზის, ახლა მანაც გამიგოს!

— ოთარ ხიზანეიშვილზე და დავით კვირკველიაზეც გკითხავ. ითქვა, ამ ფეხბურთელებით „სანდერლენდია" დაინტერესებულიო და შენ უკეთ გეცოდინება...

— კვირკველიაზე ზაფხულში ვიცოდი, რომ იყო დაინტერესება. ლუქსემბურგში ნაკრების თამაშზეც იყვნენ „სანდერლენდიდან" ჩამოსულები, მაგრამ მას შემდეგ არაფერი გამიგია. ხიზანეიშვილზე კი მხოლოდ ქართული პრესიდან შევიტყვე, თორემ ინგლისში არაფერი დაუწერიათ. ისე კი, „სანდერლენდი" ნაღდად არ არის ცუდი ვარიანტი: მართალია, ცხრილის ქვედა ნაწილშია, მაგრამ არა მგონია, გავარდეს. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდება, ქართველები თუ შემომემატებიან ინგლისში.

— სანაკრებო თემაზეც შეგეკითხები. ნაკრების სხვა ლიდერებს ვკითხეთ შენი და ტოპმიოლერის ამბავზე. ყველამ გვითხრა, შერიგდებიან და გაუგებრობასაც ბოლო მოეღებაო...

— ძალიან კარგი იქნება, თუ ასე მოხდება. ჯერჯერობით კი სიახლე არაფერია და არც მინდა მაგ თემაზე ლაპარაკი. ჩემს საქმეს ვაკეთებ და ძალიან მინდა, „ბლექბერნის" ძირითადში დავიმკვიდრო ადგილი, რათა მერე არავინ თქვას, ნაკრების ღირსი არ არისო.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველო და ფიფა–უეფა

## ახალკაცი და უგულავა ზაგრებშიც მიდიან

**27-28 იანვარს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი უჩა უგულავა ფიფა-უეფას პრეზიდენტებს, იოზეფ ბლატერსა და მიშელ პლატინის სანქტ პეტერბურგში „თანამეგობრობისა და ბალტიის ქვეყნების თასის" გათამაშების დასკვნით დღეებში შეხვდებიან.

ახალკაცს და უგულავას კიდევ ერთი ვიზიტი აქვთ დაგეგმილი — 30-31 დეკემბერს ზაგრებში უეფას კონგრესი გაიმართება.

უეფას კონგრესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა ევროპის ჩემპიონატზე მონაწილე გუნდების რაოდენობის 16-დან 24-მდე გაზრდა იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ცანკერი მიდის და შეყილაძე მოდის

**პარგა ხანია,** საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა შეცვლაზე საუბრობენ.

როგორც შევიტყვეთ, ჰერბერტ ცანკერის ნაცვლად 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად გელა შეყილაძე დაინიშნება.

21-წლამდელებში პეტარ სეგრტის თანაშემწე შეყილაძეს ამის თაობაზე გუშინ ვკითხეთ და ეს გვითხრა: „მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუმც კონკრეტულად ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით".

ამავე საკითხზე ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავასაც შევეხმიანეთ: „არ დაგიმალავთ, გელა შეყილაძე ნამდვილად განიხილება 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად. ეს საკითხი საბოლოოდ იანვარში უნდა გადაწყდეს".

**ნუკრი ლოლაძე**

# ტოპმიოლერმა ლაუტერნს ქართველებიც გამოარიდა

## მენთეშაშვილი და ცქიტიშვილი ახალ გუნდებს ეძებენ

*გუშინ პოპულარულ გერმანულ გამოცემა „კიკერში“ „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელ კეტილ რეკდალის სიტყვები გამოქვეყნდა — ორი ქართველი ფეხბურთელის გადმოსვლა, ალბათ, საკმარისად გაგვაძლიერებსო.*

*რეკდალისა არ ვიცით, მაგრამ ქართველების „ლაუტერნში“ გადასვლა გამოირიცხა — ზურაბ მენთეშაშვილი და ლევან ცქიტიშვილი უკვე სხვა კლუბს ეძებენ...*

„კლაუს ტოპმიოლერი წამოვიდა „ლაუტერნიდან“ და ამიტომ საჭიროდ აღარ ვთვლი იქ გადასვლას. „კაიზერსლაუტერნში“ არეული სიტუაციაა... რა ვიცი, ფაქტობრივად, სასწორზე უნდა დავდო ჩემი კარიერა. ისე გამოდის, გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან რომ გავარდეს, მერე უარესად წამივა საქმე“ — გვითხრა მენთეშაშვილმა, რომელიც ამჟამად თბილისშია.

*და სად გააგრძელებს კარიერას საქართველოს ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი?*

„წინადადებებს ველოდები. ლატვიაში დაბრუნება არ მინდა, მაგრამ თუ არაფერი გამოჩნდა, ისევ „ვენტსპილსში“ წასვლას არ გამოვრიცხავ. იქ განათხოვრებით ვიყავი — ჯერაც იაროსლავლის „შინიკს“ ვეკუთვნი, მაგრამ იაროსლავლში ჩასვლის შანსიც არ არის. მათ ოფიციალურად ტრანსფერზე დამაყენეს და ესეც რომ არა, მეც არ ვაპირებ „შინიკში“ თამაშს“.

**ილია ნანობაშვილი**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

*გუშინ თბილისში მყოფ ლევან ცქიტიშვილსაც გავესაუბრეთ და, ცხადია, თავიდან „კაიზერსლაუტერნში“ ჩაშლილ ტრანსფერზე ვკითხეთ...*

— კლუბის ხელმძღვანელებთან პირველი საუბრის შემდეგ გარკვეულ პირობებზე შევთანხმდით, მაგრამ ვერ შეასრულეს და „კაიზერსლაუტერნში“ ჩემი გადასვლაც ამიტომ გამოირიცხა. ზურას ტრანსფერიც ჩაიშალა...

**— ამასთან დაკავშირებით ალბათ უკვე ისაუბრეთ კლაუს ტოპმიოლერთან...**

— რა თქმა უნდა, მას ველაპარაკეთ და საქმის კურსშია. იქიდან წამოსვლაც თავად გვირჩია.

**— რაღაც უიღბლობა დაგჩემდა — საკმაო ხანია, უკლუბოდ ხარ და ახლა რას აპირებ?**

— ახალ წელს აქ შევხვდები და შემდეგ ვნახოთ...

**— სხვა უცხოური კლუბებიდან არ გაქვს შემოთავაზებები?**

— ჯერჯერობით კონკრეტული არაფერია, თუმცა უკვე სატრანსფერო ფანჯარა გახსნილია და არა მგონია, უკლუბოდ დავრჩე.

**— შესაძლებელია, რომელიმე ქართულ კლუბშიც აღმოჩნდე?**

— საქართველოს ჩემპიონატში ჩემი დაბრუნება ამ ეტაპზე გამორიცხულია.

**— საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ხარ და, ბუნებრივია, გეცოდინება ზურაბ ხიზანიშვილსა და კლაუს ტოპმიოლერს შორის გართულებულ ურთიერთობაზე...**

— რა თქმა უნდა, ეს არასასიამოვნო ამბავია. ჩემი პოზიცია კი ასეთია: თავად მწვრთნელი და ფეხბურთელი უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და საქართველოს ნაკრებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღონ. დარწმუნებული ვარ, არც ერთს სურს, ნაკრებში არეულობა იყოს.

**— 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენს ჯგუფში იტალია, ბულგარეთი, ირლანდია, კვიპროსი და ჩერნოგორია არიან. რას იტყვი ამ გუნდებზე?**

— სუსტი მეტოქეები ნამდვილად არ გვერგო. იტალიას რომ თავი დავანებოთ, დანარჩენებსაც შეუძლიათ კარგი ფეხბურთის თამაში...

**— და საქართველოს ნაკრების შანსებს როგორ შეაფასებ?**

— ძალიან ძნელი იქნება წარმატების მიღწევა. შანსები, რა თქმა უნდა, გვაქვს, მაგრამ ამას კარგი თამაში უნდა და ყველანი მზად ვართ საბრძოლველად. წარმატებას რომ მიაღწიო, ცოტა უნდა გაგიმართლოს კიდეც და იმედი მაქვს, ამჯერად ფორტუნაც ჩვენს მხარეს იქნება.

**ნუკრი ლოლაძე**

# მესამე ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე

**გუშინ** სპორტ-კომპლექს „ირაოზე“ სტარტი აიღო მინისაფეხბურთო ტურნირმა არაპროფესიონალებს შორის — „ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე“.

ეს ტურნირი ზედიზედ მესამედ ტარდება და მისი ორგანიზატორი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა.

ტურნირში რვა გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალის საგზურს მოიპოვებს, აქედან გამარჯვებულნი კი 28 დეკემბერს ფინალში გამოავლენენ საუკეთესოს.

პირველ ჯგუფში მოხვდნენ: ჟურნალისტები, საქართველოს რაგბის კავშირი, ექიმები და სტუდენტები, მეორეში: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერანი ფეხბურთელები, კომპანია მადნეული და მუსიკოსები.

ტურნირის თაობაზე მცირე კომენტარი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *უჩა უგულავამ* გააკეთა: „ეს ტურნირი ტრადიციად იქცა და წლეულს მესამედ ტარდება. იმედია, მომავალშიც გაგრძელდება. სპონსორობის მხრივ, გვერდით დაგვიდგნენ კომპანიები — „მადნეული-კვარციტი“ და „ავერსი“. ეს ტურნირი ქვეყნის პრეზიდენობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად ტარდება“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ბადრი ქეთილაძის ფოტოები



უჩა უგულავა

# კალაძის საქმე

**გუშინ** თბილისის სასამართლომ საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ ფეხბურთელ კახა კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცებასა და მკვლელობაში დამნაშავედ ცნო ლევან ცინცაძე და 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო არ არის და მსჯავრდებულს უფლება აქვს, ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს.

ლევან კალაძის გატაცებასა და მკვლელობაში დამნაშავედ ცნობილია კიდევ სამი პიროვნება.

2007 წლის მარტში თბილისის სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა დავით ასათიანს, ხოლო გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მერაბ ამისულაშვილს მხოლოდ 5 წელი აკმარა.

მეოთხე დამნაშავე თეიმურაზ გაგნიძე ამჟამად საფრანგეთშია და მისი ექსტრადაციის საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა.

# ოლიმპი და სილაგაავა

**19-28 დეკემბერს** სანქტ პეტერბურგში „თანამეგობრობისა და ბალტიის ქვეყნების თასის“ მეთექვსმეტე გათამაშება გაიმართება.

საქართველო ამ ტურნირზე მარტო ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპით“ არ იქნება წარდგენილი — ტურნირის ორგანიზატორებმა საქართველოდან ფიფას მსაჯი ლაშა სილაგავა მიიწვიეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ამაზე კარგი რა უნდა ნახო?!

ოთარ მარცვალაძე 2006 წლის იანვარში თბილისის „ვიტ ჯორჯიადან“ კიევის „დინამოში“ რომ გადავიდა, საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო — ჩემპიონატის პირველი წრე სულაც საუკეთესო ბომბარდირად დაასრულა და ჯაბა დვალმა და კოკა მიკუჩაძემ ჩემპიონატის ბოლოსკენღა გადაასწრეს. მარცვალაძეს თითქოს უკრაინული კარიერაც უნდა ასწყობოდა, მაგრამ „დინამოში“ თითზე ჩამოსათვლელი მატჩები ითამაშა, ძირითადში მყარად ვერ ჩაჯდა და ამ ყველაფერს ტრავმებიც დაერთო. როცა გამოჯანმრთელდა, „დინამოს“ დუბლებს ვეღარ გასცდა და ბოლოს უჟგოროდის „ზაკარპატიეში“ გაანათხოვრეს. თუმც პირველი წრის შემდეგ საიჯარო ხელშეკრულება დაუსრულდა და ახლა ისევ „დინამოს“ უნდა შეუერთდეს.
უჟგოროდულ გუნდში მარცვალაძე მეორე ქართველ ფეხბურთელთან, კახა ალადაშვილთან ერთად, რომელიც ასევე „დინამოს“ ეკუთვნის, გამორჩეული იყო. „ზაკარპატიეს“ ხელმძღვანელობა ორივე ქართველის საიჯარო ვადის გაგრძელებას ამიტომაც ეშურება.
ახლა მარცვალაძე შვებულებაშია და თბილისში იმყოფება. გუშინ მას სამომავლო გეგმებსა და განვლილ სეზონზე სასაუბროდ შევეხმიანეთ...



## ოთარ მარცვალაძე: აღარ მინდა უპრაქტიკო დინამო

— როგორ შეაფასებდი „ზაკარპატიეში“ გატარებულ დროს?

— დადებითი ის არის, რომ სათამაშო პრაქტიკა მქონდა, მაგრამ გუნდია სუსტი, ძალიან გაგვიჭირდა. ეს ალბათ იმის ბრალიცაა, რომ „ზაკარპატიეს“ უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება არ ჰქონდა. თუ ისე მოხდა, რომ უმაღლესში დარჩა, გამოცდილება მოემატება და საგაისოდ უკეთესი გუნდი იქნება.

— საიჯარო ვადა დაგიმთავრდა, ახლა რა ხდება?

— 5 იანვარს კიევში უნდა ჩავიდე. მერე გადაწყდება ყველაფერი.

— „დინამოდან“ ჯერ არ შეგხმიანებიან?

— ჯერ არა. ალბათ კიევში ჩასვლამდე ვერაფერი გაირკვევა.

— „ზაკარპატიე“ შენი და ალადაშვილის თამაშით კმაყოფილია და თქვენი საიჯარო ვადის გაგრძელებაც სურს...

— მათი სურვილი ერთია, ჩვენი კი — მეორე. თუ საქმე სასიკეთოდ შეტრიალდა, „დინამოში“ თამაში რომ სჯობია, სალაპარაკოც არ არის. თუმცა, თუ, ღმერთმა ნუ ჰქნას და, სათამაშო პრაქტიკა ისევ არ მომეცა...

— უჟგოროდელები კი არიან შენი თამაშით კმაყოფილნი, მაგრამ პირადად შენ რას ფიქრობ?

— ცუდი სეზონი ნამდვილად არ მქონია, მაგრამ ჩემი თავით მაინც უკმაყოფილო ვარ. როგორც თავად მინდა, ისეთ ფორმაში ვერ ვარ.

— უჟგოროდის „ზაკარპატიეს“ გარდა კიდევ ხომ არ არის დაინტერესება სხვა გუნდებიდან?

— ჯერ არაფერი გამიგია...

— სათამაშო პრაქტიკა გაქვს და კლაუს ტოპმიოლერიც ბოლო სანაკრებო მატჩებისთვის რეგულარულად გიწვევდა, თუმც თამაში იშვიათად გიწევდა...

— ტრავმის შემდეგ ძველი ფორმა ვერა და ვერ დავიბრუნე. თან მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს და მისი გადასაწყვეტია, ვის ათამაშებს და ვის არა.

— განვლილ შესარჩევს როგორ შეაფასებდი?

— მეექვსე ადგილი კარგ შედეგად ვერ ჩაითვლება, მაგრამ რამდენიმე კარგი მატჩი კი ჩავატარეთ. მეტი იღბალი რომ გვქონოდა, უკეთეს ადგილს დავიკავებდით. ვფიქრობ, ჩვენს თამაშში პროგრესი აშკარაა.

— და ახალ შესარჩევ ჯგუფს როგორ შეაფასებ?

— თუ რაიმე ამბიცია გაგვაჩნია, ამაზე უკეთეს ჯგუფს ვერ ვნახავთ. ახლა უნდა გამოვაჩინოთ ჩვენი შესაძლებლობები. თანაბარი ჯგუფია — არავინ იცის, რა მოხდება და ადგილები როგორ განაწილდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



## ზარიამ ციმაკურიძე შეწყვიტა

ლუგანსკის „ზარიამ“ გიორგი ციმაკურიძეს კონტრაქტი გაუწყვიტა, რაც, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი ამბავია, რაკიღა ბოლო ტურებში ქართველი მცველი ძირითადში სტაბილურად თამაშობდა.

ციმაკურიძე ზაფხულში მარიუპოლის „ილიჩევეციდან“ გადავიდა „ზარიაში“ და თავიდან თუ სათადარიგოებში იჯდა, მერე ნელ-ნელა შეეჩვია ძირითადს.

მოკლედ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ კაპიტანს ახალი გუნდის ძებნა მოუწევს.

**ილია ნანობაშვილი**

## ყაზახური გასაკვირი: წაგებული საქართველო

### ლევან მელქაძემ კიდევ ორი აზიელი ქართველი გვითხრა

ყაზახეთის ჩემპიონატში რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი თამაშობს. ყარაგანდის „შახტიორში“ ორი ჩვენებურია — ლევან მელქაძე და ლაშა ნოზაძე, მწვრთნელად კი რევაზ ძოძუაშვილი ჰყავთ.
ერთ დროს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ ლევან მელქაძეს თავიდან „შახტიორში“ არ აეწყო საქმეები, თუმცა ძოძუაშვილის მისვლის შემდეგ ათამაშდა და გოლების გატანაც დაიწყო. ლევანი ახლა შვებულებით თბილისშია და ჩვენც გუშინ გავესაუბრეთ...



— უკვე ერთი თვეა, საქართველოში ვარ, შვებულებას აქ ვატარებ.

— სანამ რევაზ ძოძუაშვილი მოვიდოდა „შახტიორის“ მწვრთნელად, მანამდე თამაშიც გიჭირდა და გოლების გატანაც...

— პირველ წრეში ფინელი მწვრთნელი გვყავდა და თავისი შეხედულებები ჰქონდა. ჩემს ადგილზე არ მაყენებდა — ცენტრალურ ნახევარმცველად ვთამაშობდი. ბუნებრივია, გოლებიც ვეღარ გამქონდა და ძალიან მიჭირდა. მეორე წრეში კი ძოძუაშვილი მოვიდა, ისევ თავდასხმაში დამაყენა და 10 თამაშში 8 გოლი შევაგდე.

— შენს გარდა ამ გუნდში ლაშა ნოზაძეც არის და ალბათ გიადვილდებათ იქ ყოფნა...

— რა თქმა უნდა, გაცილებით კარგია, ქართველებთან ერთად რომ ვარ. სხვათა შორის, „შახტიორის“ დუბლებშიც თამაშობენ ქართველები — ვაჟა ხაჩიძე და გიორგი გურული.

— „შახტიორი“ ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა. მეტის მიღწევა არ შეგეძლოთ?

— პირველ წრეში ქულები ძალიან უაზროდ გავფანტეთ, თორემ ჩემპიონობასთან ახლოს ვიქნებოდით.

— გუნდის ხელმძღვანელობა მიღწეულით კმაყოფილია?

— სამეულში გასვლა თავიდანვე დავისახეთ მიზნად და მივაღწიეთ კიდეც.

— ახალ სეზონში რა გეგმები გაქვთ?

— რამდენადაც ვიცი, მიზანი ჩემპიონობაა და ვნახოთ, რა გამოგვივა.

— საქართველოსა და ყაზახეთის ჩემპიონატებს შორის დიდი განსხვავებაა?

— შედარებაც არ შეიძლება. იქ გაცილებით სწრაფ ტემპში თამაშობენ. ბევრი ლეგიონერია და ევროთასებზე ყაზახური და ქართული გუნდების დაპირისპირებამაც გამოაჩინა, რამდენად დიდია სხვაობა. ყაზახები ამბობდნენ, ქართულ გუნდებზე უკეთესი წარმოდგენა გვქონდაო. ქართველებთან ასეთ გამარჯვებებს არ ელოდნენ.

— ფინანსურად როგორი მდგომარეობაა?

— ჩვენს გუნდში ყველაზე დაბალი ხელფასი 3 ათასი დოლარია. საქართველოში რომ ასეთი ხელფასები იყოს, რაღა გვიჭირდა.

— საფეხბურთო ინფრასტრუქტურა რამდენად განვითარებულია?

— ყოველდღიურად ცდილობენ, გაუმჯობესონ და ევროპულ დონეზე მიიყვანონ.

— იქაურებს ფეხბურთი უყვართ?

— „შახტიორის“ საშინაო თამაშებს 10-15 ათასი კაცი ესწრება. 2-3 ათასი გულშემატკივარი კი გასვლით მატჩებზეც დაგვყვება.

— შვებულება როდის გიმთავრდება?

— 7 იანვარს მივდივარ. სამ დღეში ყარაგანდაში დავიწყებთ ვარჯიშს, 17 იანვარს კი ანთალიაში წავალთ შეკრებაზე.

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# უეი...მე, რუნი!
## კაი გოგოა სტივენი

**უეინ რუნის** მამათმავალი ბიძაშვილი ივნისისთვის ემზადება: „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავის ქორწილში პატარძლის მეჯვარე უნდა იყოს. და რას ფიქრობენ ამაზე უეინის ძმაბიჭები? ერთი, ჩვენში ცნობილი სიმღერისა არ იყოს, ზოგი ასე უბერავს და ზოგიც ისე.

არიან ისეთები, რომლებიც შიშობენ, რომ სტივენისთვის ასეთი დიდი როლის მინიჭება (ცნობისთვის: რუნის მამის ძმისშვილი გარდა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა გვარიანი ნარკომანობითაც გამოირჩევა) ჯიგრიან ქორწილს ფარსად აქცევს.

„თუ კოლინს მეჯვარედ ვუნდივარ, ვერ დავალალატებ“ — თავის მხრივ არავის ეპუება პუტკუნა სტივი, ძალიან რომ უყვარს ქერა პარიკი და პომადა.

ეს ყველაფერი კი რუნიმ თავად გამოიწვია. როგორ? როგორ და, კოხტად: „იუნაიტედის“ ვარსკვლავმა ნათესავ კაცებს ქორწილში წამყვანი როლები ჩამოართვა, აქაოდა, ყველანი ბებრები არიან, ჩემს ახალგაზრდულ ქორწილში კი ბებრებმა თავისი ადგილი უნდა იცოდნენო.

ციტატა: „პაჟები არ გვეყოლება, რადგან ახლო სანათესაოში ახალგაზრდა ბიჭი არ გვყავს. ვფიქრობ, ასაკოვანთა მორთვა-მოკაზმვა სულელურად გამოჩნდება“.

მიაქციეთ ყურადღება წინადადებას: „ახლო სანათესაოში ახალგაზრდა ბიჭი არ გვყავს“ — რუნისთვის სტივენი ახალგაზრდა ბიჭი არ არის! და მართლაც, თუ ადამიანი თავს კაცად არ მიიჩნევს, პატივი უნდა სცე და ქალი ეძახო.

თუმცა, სანამ ჩვენ რალაცებს გიამბობთ, 23 წლის ბიძაშვილი სტივენი, რომელიც „კენტაკი ჩიკენში“ მუშაობს (სწრაფი კვების ქსელია. იქ ქათმის ბარკლებს წვავენ. ფუნქციით „მაკდონალდსს“ და „ბურგერკინგს“ ჰგავს) იმედოვნებს, რომ მის მეჯვარეობას ხელს ვერაფერი შეუშლის და საყვარელ სარძლო კოლინს ცერემონიალზე ლამაზ კაბაში გამოწყობილი ამოუდგება გვერდით.

„მე და კოლინი ვმეგობრობთ. მისთვის ჩემი ამბავი ძალიან კარგად არის ცნობილი. ჩემი ორიენტაცია დაახლოებით ორი წლის წინ გამომზეურდა და, როგორც უეინმა, ასევე კოლინმა, ყველაფერი ჯიგრულად მიიღეს“.

ჟურნალისტებმა, ბუნებრივია, სურათის სისრულისთვის რუნის სამეგობროსაც დაუარეს. ერთ-ერთმა ძმაკაცმა ასეთი რამ თქვა:

„უეინს სტივენზე უარი არ უთქვამს, ასე რომ, ნამდვილად არ არის გამორიცხული, ის ქორწილში მეჯვარედ ვიხილოთ, რაც ძალიან კარგი იქნება, რადგან ელიტარულ სტუმრებს, მაგალითად, ვიქტორია ბექემს გაართობს. და გარდა ამისა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ უეინი და კოლინი თავისუფლად მოაზროვნენი არიან. მათ არ სურთ, ცხოვრების ულამაზესი დღე, ქორწილის დღე მღვდლის აკრძალვების გამო შეიზღუდოს.“

ახლა კი, ორიოდ სიტყვით ქორწილისა და ფეხბურთის წინააღმდეგობრივ კავშირზეც ვთქვათ: ამასწინათ, 21 წლის კოლინმა გულწრფელად აღიარა, რომ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ინგლისის ნაკრების ფიასკო მისი ქორწინების საქმეს ერთიორად აადვილებს:

„ზუსტი დღე ჯერ არ დაგვითქვამს, მაგრამ ქორწილი ივნისში იქნება. ახლა გადასაწყვეტი მხოლოდ ადგილი და თარიღი მაქვს. ადგილის ძიებაში მოვიარე ინგლისი, საფრანგეთი და იტალია, ბევრ ადგილზეც მომავალში ვაპირებ წასვლას. შეგულებული მაქვს ერთი-ორი ადგილი ინგლისსა და ირლანდიაშიც. ყველაფერს რომ ვნახავ და ავწონ-დავწონი, გადაწყვეტილებას მერე მივიღებ. მე და უეინი კათოლიკები ვართ, ასე რომ, ეკლესიურ ქორწილს ვგეგმავთ. ეს ყოველთვის გვინდოდა. მე კათოლიკური ცერემონია ძალიან მომწონს და მინდა, ჯვარი მღვდელმა დაგვწეროს, თუმცა ვნახოთ...“

მაგრამ, როგორც ზემოთ გითხარით, უეინ რუნის საძმაკაცოში მხოლოდ ერთ ჭკუაზე როდი არიან.

„მე რომ მის ადგილას ვიყო, სტივენს მეჯვარედ არ დავნიშნავდი. ამით ის ქორწილს მასხარაობად გადააქცევს“.

**პაპუნა ძედია**

# ბექემი მიესალმება

**დევიდ ბექემი** ინგლისის ნაკრების სათავეში ფაბიო კაპელოს დანიშვნას მიესალმება და იმედს გამოთქვამს, რომ იტალიელი მწვრთნელის გუნდში მისთვისაც გამოიძებნება ადგილი.




„ფაბიო ერთ-ერთი იმ მწვრთნელთაგანია, რომლის ხელქვეით მუშაობაც ფეხბურთელებს ყოველთვის გულითა და სულით უნდათ. მეც ვიმედოვნებ, რომ მისი გეგმის ნაწილი ვიქნები — თქვა ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა მადრიდის „რეალში“ თავის ყოფილ თავკაცზე საუბრისას — ჩემი პროგნოზი ასეთია: კაპელო ინგლისის ნაკრებისა და მისი ფეხბურთელებისთვის ჩინებული შედეგების მომტანი იქნება“.

ეს სიტყვები „ლოს ანჯელეს გალაქსის“ ვეტერანმა ნახევარმცველმა რადიო BBC 2-ის ეთერში თქვა. შეგახსენებთ, რომ ფაბიო კაპელოსა და დევიდ ბექემის ურთიერთობა იოლი არ ყოფილა, თუმცა საბოლოოდ ინგლისელმა ვარსკვლავმა მაინც მოახერხა მადრიდული „სამეფო კლუბის“ შარშანდელ გაჩემპიონებაში დიდი ღვაწლი შეეტანა.

„ჩემი და მწვრთნელის ურთიერთობაში ნათელი პერიოდებიც იყო და ბნელიც, მაგრამ საბოლოოდ მან გუნდში დამაბრუნა და თავის გამოჩენის საშუალება მომცა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ჩემს ნიჭსა და ოსტატობას ენდობოდა — თქვა ინგლისის ნაკრების მაისურით 99 შეხვედრის მონაწილემ — მისი წყალობით გასული სეზონის ბოლო საუცხოოდ ჩავატარე და როდესაც შევიტყვე, რომ კაპელო გუნდიდან გაუშვეს, საშინლად დავღონდი. მან ხომ „რეალს“, მის ფეხბურთელებს და ფანებს ის მისცა, რასაც ისინი იმსახურებდნენ — ტიტული. დარწმუნებული გახლავართ, რომ ინგლისის ნაკრებმა დიდებული მწვრთნელი იშოვნა. ყველას სურვილია მისი ლიდერი პატივისცემით აღჭურვილი, ავტორიტეტული ადამიანი იყოს, კაპელო კი თავისი კარიერიდან გამომდინარე სწორედ ასეთია“.

**პაპუნა ძედია**

# ვინ ვინ იყო კლასიკოში

**„კამპ ნოუზე“ ბოლო 8 ვიზიტისას მადრიდის „რეალმა“ „ბარსელონას“ მამული წაგებულმა მხოლოდ ორჯერ დატოვა, 2000-01 და 2004-05 წლების სეზონებში. ახლა კი „სამეფო თეთრებმა“ ივაჟკაცეს და „მხეცი“ ჟულიო ბაპტისტას გოლით „ბარსა“ მისსავე ინჩასობით გადაჭედილი ტრიბუნების წინ გაამწარეს.**

**მადრიდმა ბარსელონას აჯობა და თუ რატომ, ამის მეტ-ნაკლებად დეტალურად გარკვევას „ასის“ ჟურნალისტები შეეცადნენ. ვფიქრობთ, ჩვენს მკითხველს დააინტერესებს, ავტორიტეტულმა ესპანურმა სპორტულმა გაზეთმა კატალონიურ-კასტილიური ჯახი როგორ შეაფასა**





**იკერ კასილიასი (რეალი)**

ეს მისი დღე იყო. ესპანეთის ნაკრების გოლკიპერმა დაამტკიცა, რომ პირინეებზე ბადალი არ ჰყავს. მან „რეალი“ რამდენჯერმე გადაარჩინა. მაშინ ტაბლოზე 0:0 იყო და ერთმა ღმერთმა უწყის, ბარსელონელთა გოლის შემთხვევაში, მატჩის ბედი რანაირად წარიმართებოდა.

**ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა)**

საგოლე მომენტის გამოკლებით ყველა სხვა ეპიზოდში შეუცდომელი გახლდათ. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ვაქტორმა მადრიდელთა იერიშები საიმედოდ მოიგერია.

**სერხიო რამოსი (რეალი)**

„კამპ ნოუზე“ თავისი საფეხბურთო სტილის ერთგული დარჩა. რამოსი ისეთივე იყო, როგორიც ყოველთვის — ბოლო წუთამდე მებრძოლი და დაცვაში სოლიდური. შუსტერმა სერხიო მატჩის ბოლოს მიგელ ტორესით შეცვალა.

**კარლეს პუიოლი (ბარსელონა)**

კაპიტანს თავი არ შეურცხვენია და მეტოქის რამდენიმე სახიფათო შეტევაც ჩაშალა. პუიოლი რაიკარდმა მისივე თხოვნით შეცვალა.

**პეპე (რეალი)**

პორტუგალიელისთვის შესანიშნავი მატჩი გამოდგა. პეპემ თავის არეალში ყოველგვარ ბარსელონურ ხიფათს ბოლო მოუღო.

**რაფაელ მარკესი (ბარსელონა)**

ბრწყინვალე ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა ამოცანას თავი ყოჩაღად გაართვა.

**ფაბიო კანავარო (რეალი)**

კორექტულად და ზუსტად ითამაშა. „რეალის“ საჯარიმოში ყურადღება მთელი მატჩის მანძილზე არ მოუდუნებია.

**გაბრიელ მილიტო (ბარსელონა)**

იგივე გააკეთა, რაც დანარჩენმა კატალონიელმა მცველებმა — თავისი საქმე კარგად შეასრულა და ინჩასთა მოწონება დაიმსახურა.

**გაბრიელ ჰაინცე (რეალი)**

არგენტინელი, „რეალის“ სხვა უკანახაზელთა მსგავსად, ჩაუქობდა. ჰაინცემ „კამპ ნოუზე“ გამოცდა კარგად ჩააბარა.

**ერიკ აბიდალი (ბარსელონა)**

იშვიათად ჩანდა, თუმცა საქმე შეცდომებით არ გაუფუჭებია.

**უესლი სნეიდერი (რეალი)**

ძალიან კარგი მატჩი გამოდგა ჰოლანდიელისთვის. სნეიდერმა მოედნის ცენტრში ბევრი იშრომა და მისი ბრძოლაც სამაგალითო იყო. „კამპ ნოუზე“ ასი პროცენტით დაიხარჯა.

**ხავი (ბარსელონა)**

კატალონიელთა სხვა დროს ყოჩაღი ცენტრი აჩრდილივით იყო „კამპ ნოუზე“. ხავი ბურთთან მცირე ხნით რჩებოდა და რაიკარდმაც მის ნაცვლად მადრიდელებთან ომში ბოიან კრკიჩი ჩართო.

**მაჰამადუ დიარა (რეალი)**

დაცვაში ეფექტური იყო, თავდასხმაში კი — პირიქით. „რეალის“ აფრიკელმა ნახევარმცველმა „ელ კლასიკოში“ მოიერიშედ ვერ ივარგა.

**ტურე იაია (ბარსელონა)**

მძლავრი ფიზიკური აღნაგობის გამო კატალონიელთა ცენტრში სხვებზე უკეთ ითამაშა.

**ჟულიო ბაპტისტა (რეალი)**

ბრაზილიელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „სამეფო გუნდის“ ძირითადში ყოფნას იმსახურებს. ამჯერად ბაპტისტას იარაღი „კამპ ნოუზე“ შეგდებული გამარჯვების გოლი აღმოჩნდა.

**დეკუ (ბარსელონა)**

ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ პორტუგალიელმა ვარსკვლავმა „ელ კლასიკოში“ რამე ღირებული გააკეთა. დეკუ მოედანზე „დაიკარგა“ და მეორე ტაიმის დასაწყისში ჯოვანი დოს სანტოსით შეცვალეს.

**რაული (რეალი)**

გოლის გატანა ვერ მოახერხა, თუმცა მოედანზე სული და გული დატოვა, ისევე, როგორც ყველა თამაშში აკეთებს ხოლმე.

**ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)**

პერმანენტული საფრთხე მადრიდელი მცველებისთვის. „ბარსას“ სკოლის აღზრდილმა რამდენი ბურთიც მიიღო, იმდენჯერ მეტოქე საგოლე საფრთხის წინაშე დააყენა.

**რუუდ ვან ნისტელროი (რეალი)**

ამჯერად „ბარსელონას“ გოლი ვერ „უძღვნა“, მაგრამ მთელი მატჩი მუხლჩაუხრელად შრომობდა და ჟულიო ბაპტისტასაც საგოლე პასი შეარგო.

**სამუელ ეტოო (ბარსელონა)**

„რეალის“ კარის დალაშქვრა მრავალჯერ სცადა, მაგრამ სამიზნე ვერ გაისწორა და მადრიდელები „კამპ ნოუზე“ შურისმაძიებელი სამეულისგან „დაუსჯელნი“ წავიდნენ. 23 დეკემბერი ეტოოს დღე არ იყო.

**რობინიო (რეალი)**

ბრაზილიელმა მარცხენა ფლანგზე საკმარისად იშრომა, „ბარსელონას“ მცველები რომ შეეშფოთებინა.

**რონალდინიო (ბარსელონა)**

ძალიან მოინდომა, მაგრამ ის ვერ შეძლო, რასაც მისგან გულშემატკივრები ელოდნენ.

**ფერნანდო გაგო (რეალი)**

მატჩის ბოლო 12 წუთი ითამაშა და ბევრი სამუშაო არ ჰქონია.

**ჯოვანი დოს სანტოსი (ბარსელონა)**

გუნდს მეორე ტაიმის დასაწყისში შეუერთდა, მაგრამ მეტოქე დომინირებდა და საუკეთესო საფეხბურთო თვისებები ვეღარ გამოავლინა.

**არიენ რობენი (რეალი)**

მცირე ხნით ითამაშა „კამპ ნოუზე“, მაგრამ „ბარსელონას“ უკანახაზელთა აფორიაქება მაინც მოახერხა — ერთ-ერთ ეპიზოდში გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ბურთი მეტოქის მცველს მოარტყა.

**ჯანლუკა ძამბროტა (ბარსელონა)**

ბოლო 15 წუთი ითამაშა. პუიოლი შეცვალა და ფრიად უფერულად გამოიყურებოდა.

**მიგელ ტორესი (რეალი)**

მოედანზე მატჩის ბოლო წუთებზე გამოჩნდა და თამაშში ჩართვა ვერ შეძლო.

**ბოიან კრკიჩი (ბარსელონა)**

კატალონიელთა ახალგაზრდა მოიერიშემ „კამპ ნოუზე“ მცირე ხანი დაჰყო, მაგრამ რომ არა ფხიზელი კასილიასი, კრკიჩის შორეული დარტყმა „ბარსელონას“ ფრეს მოუტანდა.

**ლადო ხომერიკი**







ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაბალიეროების ომის შემდეგ

ბერნდ შუსტერი ბარსელონაში გამარჯვებული დაბრუნდა, ფრანკ რაიკარდმა კი „ელ კლასიკოში" წაგებით საქმე გაირთულა. ძნელად სავარაუდოა, რომ კატალონიური გრანდის თავკაცებმა გაისად „ბარსას" გაწვრთნა ისევ ჰოლანდიელს მიანდონ. „კამპ ნოუს" მატჩის შემდეგ ადგილობრივი ჟურნალისტები ომში მონაწილეთა სარდლებს გაესაუბრნენ. მოგებულ-წაგებულმა „ელ კლასიკოს" შედეგი ღირსეულად მიიღო — რაინდთა სავანე ესპანეთში ალემანი „ბერნარდოც" კაბალიეროა და ჰოლანდიელი ფრანკიც




## ბერნდ შუსტერი: მთავარი იყო, რომ ვაიძულეთ



**— „კამპ ნოუს" ფიესტის შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?**

— მთავარ მეტოქესთან ჩინებული მატჩი ჩავატარეთ და შედეგსაც ყველა კარგად ხედავთ — „რეალმა" „ბარსელონას" ცხრილში უკვე 7 ქულით გადაასწრო. თუმცა ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებამდე ჯერ ორი ტური დარჩა და ტიტულზე დღეს ლაპარაკი ნაადრევია.

**— პეპეს შესახებ რას გვეტყვით?**

— თუ შეფასებაა, ყველა რეალელზე ვილაპარაკოთ და არა მარტო პეპეზე. ყველამ მაღალ დონეზე ითამაშა. რაც მთავარია, შევძელით, რომ „ბარსას" თამაში ფლანგებზე გადაეტანა. სწორედ ეს გვინდოდა. დააკვირდით — „ბარსელონამ" „კამპ ნოუზე" გოლის გატანა ვერ შეძლო, რაც კარგა ხანია, არ მომხდარა და, ვგონებ, მნიშვნელოვან რამეზე მეტყველებს.

**— როგორ ფიქრობთ, ადვილი გამარჯვება მოიპოვეთ?**

— ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. იცით, მსგავს მატჩებს პატარა დეტალები წყვეტენ. „ელ კლასიკო" ბოლო ხანებში „რეალის" მიერ ჩატარებული საუკეთესო მატჩი არ გახლდათ, ტაქტიკის მხრივაც ვერ გავიბრწყინეთ, მაგრამ გამარჯვება მაინც დამსახურებულად მოვიპოვეთ.

**— „ბარსელონა" სუსტი იყო?**

— მიმაჩნია, რომ დაცვაში ძალიან ნაყოფიერად ვიმუშავეთ. ბარსელონელებმა „რეალის" უკანა ხაზის სიძლიერე თავად იხილეს, ჩვენ კი მეორე ტაიმში სულის მოთქმა შევძელით, თუმცა ხელსაყრელი ეპიზოდებიც გავანიავეთ. მატჩის ბედის გადაწყვეტა უფრო ადრეც შეგვეძლო.

**— რა არის „რეალის" გამარჯვების საიდუმლო?**

— გვინდოდა, რომ „ბარსას" ცენტრიდან არ განეხორციელებინა იერიშები. ასეთ შემთხვევაში რაიკარდის გუნდს შეეძლო, რონალდინიოსა და ინიესტას წყალობით, ჩვენთვის რეალური საფრთხე შეექმნა. ჩანაფიქრი ავასრულეთ, ცენტრიდან მათი შეტევები არ შედგა და „ბარსას" ფორვარდებმაც გოლები ვერ გაიტანეს.

**— ბაპტისტას შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?**

— თავი არ დაუზოგავს, იმუშავა, იბრძოლა და გვაჩვენა, რომ როცა გუნდს სჭირდება, შეუძლია, ბრაზილიელს ნდობა გამოუცხადოს. ბაპტისტა მხოლოდ ქების ღირსია, ისევე, როგორც მთელი გუნდი. „რეალი" ისე თამაშობდა, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი.

**— ფრანკ რაიკარდს სტრატეგიული ომი მოუგეთ?**

— ვერ გეტყვით. მოგებით „რეალმა" მოიგო, ფეხბურთელებმა, რომელთაც მოედანზე მთავარი სიტყვა ეთქმით.

**— „რეალმა" კარგად ითამაშა?**

— „კამპ ნოუზე" საღამომ ჩვენთვის კარგად ჩაიარა, ამას არ ველოდი. ფეხბურთელებს მიუძღვით მთავარი წვლილი იმაში, რომ დადებით შედეგს მივაღწიეთ. ადვილი გამარჯვება არ ყოფილა, მეორე ტაიმში კი სულ მცირე დაგვაკლდა, რომ ანგარიში გაგვეზარდა. ისეთი კონტრშეტევები გვქონდა, მარტო 1:0-ზე არ უნდა გაგვჩერებულიყავით.

**— სეზონის დაწყებამდე ფიქრობდით, რომ მეჩვიდმეტე ტურისთვის ამ სიმაღლეზე იქნებოდით?**

— უკეთესი იქნება, თუ წარმატებას ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით მივაღწევთ. გუნდმა თავისი სტილი იპოვა, ასეთი თამაში მატჩების მოგების საშუალებას გვაძლევს.

## ფრანკ რაიკარდი: მძიმე დარტყმა იყო, მაგრამ საკუთარ ძალებში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს

**— მატჩის გადასარჩენად რა დაგაკლდათ?**

— „რეალის" დონის გუნდის წინააღმდეგ სათამაშოდ უაღრესად მნიშვნელოვანია, საკუთარ კარში გოლი არ მიიღო. მადრიდელებმა ვიქტორ ვალდესს კონტრშეტევის შემდეგ გაუტანეს. იქამდე „რეალის" კარის დალაშქვრა ჩვენ შეგვეძლო. სტუმრებმა საქმეს თავი კარგად გაართვეს.

**— ბერნდ შუსტერმაც თქვა, რომ მისმა გუნდმა ყველაფერი ჩინებულად შეასრულა და შეტევაშიც ივაჟკაცა. „რეალის" მწვრთნელს თქვენც ეთანხმებით?**

— „რეალს" გარჯას ვერ დაუწუნებ, მადრიდელმა ფორვარდებმაც კარგად ითამაშეს, მაგრამ საქმის კეთება შუსტერის გუნდმა თავისსავე საჯარიმოდან დაიწყო. სტუმარი მცველები ჩვენი ფორვარდების მოქმედებას თვალყურს ადევნებდნენ. ძალიან ვეცადეთ, გაგვეთანაბრებინა, ბურთებს სახიფათო სიტუაციებშიც ვკარგავდით. „რეალმა" კი ორგანიზებული მატჩი ჩაატარა.

**— უკან დაბრუნება რომ შეგეძლოთ, რას შეცვლიდით?**

— ჩხუბის მერე მუშტების ქნევა ადვილია, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ გამარჯვების მისაღწევად მთელმა „ბარსამ", ყველა ჩვენმა ფეხბურთელმა იომა. „რეალი" კი კონტრშეტევებზე სახიფათოდ თამაშობდა, მატჩი ბოლო წამამდე დაძაბული იყო.

**— საგოლე ეპიზოდზე რას გვეტყვით?**

— ინიესტას და რონალდინიოს შეტევების მერე ვფიქრობდით, რომ საალყე წრეს უფრო შევამჭიდროვებდით და სიტუაციაც ჩვენს სასარგებლოდ წარიმართებოდა, მაგრამ „რეალმა" მაშინვე გაგვიტანა. ამან მატჩის ბედი შეცვალა.

**— გოლის შემდეგ არ გიფიქრიათ, რომ მოგებას შეძლებდით?**

— ბოლო წამამდე მჯეროდა, რომ ანგარიშში ცვლილების შეტანას მოვახერხებდით. ამ იმედის გარეშე რა აზრი ჰქონდა სტადიონზე გამოსვლას? ვაღიარებ, რომ მეტოქემ ბევრი სახიფათო ეპიზოდი ჩაგვიშალა. ისინი ძალიან ორგანიზებულნი იყვნენ და გარკვეულ მომენტებში ბურთის ირგვლივ თავს 9 მადრიდელი იყრიდა. კონტრიერიშზეც მძლავრად და სწრაფად გადმოდიოდნენ.



**— „რეალმა" კარგად ითამაშა?**

— დიახ „რეალმაც" კარგად ითამაშა და „ბარსამაც", ოღონდ ჩვენ გოლის გატანა დაგვაკლდა. „ბარსელონას" გოლი ყველაფერს შეცვლიდა, მაგრამ 23-ში, სამწუხაროდ, მადრიდულად დაღამდა „კამპ ნოუზე".

**— გასულ სეზონში, როცა „რეალი" ჩემპიონი გახდა, აღნიშნეთ, რომ მას „ელ ელასიკოში" 3:3-ის შემდეგ აღებული ქულა ძალიან დაეხმარა. წლეულს მადრიდელებმა საერთოდ დაგამარცხეს „კამპ ნოუზე"-**

— ძლიერი დარტყმა იყო, მაგრამ საკუთარ ძალებში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

**— თავს დათრგუნვილად გრძნობდით?**

— არა, თამაშის დროსაც და მატჩის მერე გასახდელშიც დავინახე, რომ ფეხბურთელებს მხნეობა არ დაუკარგავთ. ახლა წაგების დავიწყება, მომავალ თამაშებზე ფიქრი და, რა თქმა უნდა, მუშაობის გაგრძელებაა საჭირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვებული კამბიასო



ფრანჩესკო ტოტი

**სერია A-ში საახალწლო შესვენების დრო დადგა. იტალიის ჩემპიონატი ორკვირიანი ვადით მე-17 ტურითა და „დერბი დელა მადონინათი“ დაგვემშვიდობება. გთავაზობთ channel4.com-ის მორიგ ჩანახატს — ტურის საუკეთესო ფეხბურთელი „ინტერის“ არგენტინელი ნახევარმცველი ესტებან კამბიასოა, ვინც „მილანს“ გამარჯვების გოლი გაუტანა.**

## გამარჯვებულები

***ესტებან კამბიასო*** (ინტერი) — ძნელი დასაჯერებელია, რომ 2004 წელს „რეალმა“ იგი უფასოდ გაუშვა გუნდიდან. მას მერე 27 წლის კამბიასო „ინტერის“ მუდმივად ცვლადი სასტარტო თერთმეტეულის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური, შრომელი და გამორჩეული წევრია. მილანურ დერბიში მან გამარჯვების გოლი შეაგდო, რითაც „ინტერს“ ზამთრის ჩემპიონის ტიტული განუმტკიცა.

***ლუკა ვიჯანი*** (რეჯინა) — რეჯოკალაბრიელებმა სეზონის მხოლოდ მეორე გამარჯვების მოპოვება მოულოდნელი გმირის, ლუკა ვიჯანის წყალობით შეძლეს, რომელმაც „კატანიასთან“ მატჩში ისტორიული ჰეთ თრიქი შეარსულა. ერთ თამაშში მან იმდენი გოლი გაიტანა, რამდენიც მთელ გასულ სეზონში. „რეჯინას“ თავდასხმაში უჭირს და ნამდვილად სჭირდებოდა ნახევარცმველისგან ასეთი სიურპრიზი.

***ფრანჩესკო ტოტი*** (რომა) — ტრავმის გამო მას ბოლო ორი თვე თითქმის მთლიანად გაუცდა, მაგრამ „ერ პუპონე“ სათანადოდ დაბრუნდა. „სამპდორიასთან“ მან ერთი გოლი პენალტით გაიტანა, მეორე კი მშვენიერი დარტყმით — მეკარეს თავზე გადაატარა ბურთი.

## დამარცხებულები

***ნელსონ დიდა*** (მილანი) — დერბიში „ინტერს“ თავისმა სანტა კლაუსმა, ესტებან კამიასომ მოაგებინა. არგენტინელის დარტყმისას ბურთმა მართლაც უცნაური ტრაექტორია მოხაზა და მიმართულება იცვალა, მაგრამ დიდას ეს ბურთი მაინც არ უნდა გაეშვა, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა მცველებიც ფარავდნენ. ბრაზილიელის შეცდომების კატალოგში „ნერაძურის“ პირველი გოლიცაა შესატანი. დიდამ ბურთი ახლო კუთხეში გაუშვა და ხულიო რიკარდო კრუზის დარტყმული აუღებელი ნამდვილად არ ყოფილა. „რეჯინას“ მეკარემ ნენად ნოვაკოვიჩმა კიდევ უფრო სულელური გოლი გაუშვა, მაგრამ მისმა კლუბმა მაინც მოიგო და დიდას ამიტომ ვერ აჯობა.

***მაურიციო დომიცი*** (ნაპოლი) — ეს ნამდვილად არ იყო მისი დღე. ჯერ ხელით თამაშისთვის პენალტი „დაიმსახურა“, მერე კი შეცდომის გამოსწორების შანსი მიეცა, მაგრამ თერთმეტმეტრიანი ცუდად დაარტყა — პირდაპირ მატეო სერენის დაუმიზნა. დომიციმ ალბათ შვებით ამოისუნთქა, როცა „სტადიო სან პაოლოზე“ საფინალო სასტვენის ხმა გაისმა.

***ამაური*** (პალერმო) — დიახ, მან გოლი გაიტანა და ის, რომ სიცილიელებმა 2:0 ვერ შეინარჩუნეს, მთელი გუნდის ბრალია, მაგრამ ბრაზილიელმა სერია A-ს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი პენალტი დაარტყა — ძალიან არაზუსტად. ოთხ წუთში ამას „ბიანკონერის“ გოლი მოჰყვა.

## გოლები

***ანდრეა პირლო*** (მილანი) — „ინტერის“ ყოფილმა სათადარიგომ თავის ძველ კლუბს კარგად დაანახვა ის, რაც „ნერაძურის“ ნამდვილად აკლია. პირლომ ბრწყინვალედ ჩაახვია საჯარიმო დარტყმა, ჟულიო სეზარმა კი, გაოცებულმა, ბურთს თვალიღა გააყოლა.

***დავიდ ტრეზეგე*** (იუვენტუსი) — ფრანგმა ფორვარდმა, რომელიც დამატებებზე თამაშით და საჭირო დროს საჭირო ადგილზე გაჩენით გამოირჩევა, თავისი დიდი კლასი და ტექნიკური შესაძლებლობები გამოავლინა. მან ბურთი ქუსლით შეასწორა, სანამ დაახლოებით 20 მეტრიდან ჩინებულად დაარტყამდა.

***ლუკა ვიჯანი*** — მისი პირველი გოლი მშვენიერი იყო. ნიკოლა ამორუზომ ჯარიმა მოინადირა, ვიჯანიმ კი ჩინებულად დაარტყა.

## რიცხვები

***დერბის ძველი ბიჭი:*** პაოლო მალდინიმ 55-ე მილანურ დერბიში ითამაშა — 1985 წლის 1 დეკემბრიდან მოყოლებული. ის, პირველი მისთვის მატჩი 2:2 მორჩა. ეს გახლდათ 266-ე „დერბი დელა მადონინა“. მიუხედავად მიჯრით სამი დერბის წაგებისა, მთლიანობაში უპირატესობა ისევ „როსონერის“ მხარეზეა, რომელსაც 104 მოგება აქვს, „ინტერს“ — 90, 72-ჯერ კი მათი შეხვედრა ფრედ მორჩა. სხვათა შორის, წინა სეზონის პირველ „მადონინასაც“ რონალდოს გოლით „მილანი“ იგებდა, მაგრამ ასევე 2:1 წააგო.

***სპეციალისტი:*** მატეო სერენიმ მიმდინარე სეზონში უკვე მესამე პენალტი მოიგერია, აქედან ორი — „სიენასთან“ მატჩში მასიმო მაკარონეს აულო. „ნაპოლიმ“ კი უკვე ორი თერთმეტმეტრიანის გაცუდება მოასწრო, ეს მაურიციო დომიცის გარდა ემანუელე კალაიომაც მოახერხა.

***გრიფონების გატეხილი ნავსი:*** „ჯენოამ“ 7 ოქტომბერს 2:0 მოუგო „კალიარის“ და მას მერე გამარჯვების გემო დაავიწყდა — ხუთი წაგება და ოთხი ფრე.



ტურის რჩეული ესტებან კამბიასო



ლუის ხიმენესი და მასიმო ამბროზინი

**„ინტერმა“ „დერბი დელა მადონინაც“ მოიგო და შთამბეჭდავად გახდა „ზამთრის ჩემპიონი“. მიმდინარე სერია A-ში „ნერაძური“ ჯერაც წაუგებელია და შვიდქულიანი უპირატესობით ლიდერობს. საქმის მცოდნეთა უმრავლესობის აზრით, რობერტო მანჩინის გუნდი სეზონის ბოლოსაც ცხრილის სათავეში იქნება...**

# ინტერისთვის ზამთარი და გაზაფხული ერთი იქნებაო

**„მხოლოდ** პირველი ტაიმის მიწურულს გაგვიჭირდა ცოტა. მთლიანობაში კი უპირატესობას ვფლობდით და დამსახურებულად მოვიგეთ.

ანდრეა პირლოს ოსტატობის წყალობით, „მილანი“ ალოგიკურად დაწინაურდა. ზლატან იბრაჰიმოვიჩი შესაძლოა, 100 პროცენტით ჯანზე არ არის, მაგრამ როცა ბურთითაა, ყოველთვის სახიფათოა. ესტებან კამბიასო კი ბრწყინვალე ფორმაშია და ძალიან კარგი პერიოდი უდგას. სეზონის პირველ ნახევარში გუნდის ყველა ფეხბურთელმა მშვენივრად ითამაშა და შექების ღირსია“ — განაცხადა მანჩინიმ.

„ნერაძურის“ ეს მოგება ვალტერ სამუელის ტრავმით რამდენადმე ჩაუშხამდა. არგენტინელმა მცველმა მუხლის მყესები გაიწყვიტა და სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ამავე დღეშია ოლივიე დაკურიც. ხოლო თუ დეიან სტანკოვიჩის ოპერაცია დასჭირდა, „ინტერი“ სერბს სამი თვით დაკარგავს. პატრიკ ვიეირასა და ლუიშ ფიგუს დაბრუნებას კი მალე ელიან.

„მეტოქემ თამაში კარგად დაიწყო და თავიდან უფრო აქტიური იყო, თუმცა ჩვენ ყველაფერი გამოვასწორეთ და მოვიგეთ, რადგან „მილანზე“ უკეთესი გუნდი გვყავს. სეზონის პირველი ნაწილი მართლაც ბრწყინვალედ ჩავატარეთ და ასე უნდა გავაგრძელოთ, როგორც სერია A-ში, ასევე ჩემპიონთა ლიგაში. მე ვერ გავიტანე, მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ. სიმართლე გითხრათ, „ინტერისთვის“ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ბურთს ვინ შეაგდებს. მოგებები უნდა გავაგრძელოთ“ — თქვა იბრაჰიმოვიჩმა.

„ინტერის“ მცველი მარკო მატერაცი: „დერბის მოგება საოცრად სასიამოვნოა. მომეწონა ის შემართება და ჟინი, რომლითაც ვითამაშეთ. „მილანთან“ მოგება კარგი საახალწლო საჩუქარია“.

„მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტის მიაჩნია, რომ მისი გუნდი ფრეს იმსახურებდა.

„ეს იყო ძალიან დაბალანსებული მატჩი. „ინტერს“ არაფრით ჩამოუვარდებოდით და ფრე სამართლიანი შედეგი იქნებოდა. „ნერაძურიმ“ უფრო ფიზიკური ფეხბურთი ითამაშა, რაც ამ გუნდის სტილია. მეორე ტაიმში ბევრი მომენტი შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. კაკას წაქცევისთვის კი აშკარა პენალტი არ დაინიშნა. ფაქტია, რომ სერია A-ში უფრო გვიჭირს, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაში. თუმცა იმედია, იანვარში ვარჯიშს ახალი რეჟიმით და შემართებით განვაახლებთ და ყველა პრობლემას მოვაგვარებთ. ბოლოს და ბოლოს ოთხივე ფორვარდი მწყობრში გვეყოლება. რაც შეეხება პატოს, იგი მხოლოდ „მილანისთვის“ კი არ იქნება მნიშვნელოვანი დამატება, არამედ მთელი იტალიური ფეხბურთისთვისაც“ — განაცხადა „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

პატოს თამაშის უფლება იანვრიდან ექნება.

„მილანის“ ბანაკში კიდევ ერთი ცუდი ამბავია. რიო დე ჟანეიროში „როსონერის“ ბრაზილიელი ფორვარდის რონალდოს ახლო ნათესავი იგორ ნაზარიო და ლიმა მოკლეს. იგი ორ პიროვნებასთან ერთად მაღაზიის წინ იდგა, როცა ხროლა ატყდა. სხვა დეტალები უცნობია.

**გიორგი კაკაბაძე**

# ჟოზე და მილანი ფრანგებმა დაადასტურეს

**შეგიძლიათ,** პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუ „მილანის“ მწვრთნელად მოიხსენიოთ, თუმც ოფიციალურად ეს ყოველივე ამ ზაფხულს გაცხადდებაო — გვატყობინებს ფრანგული „ფრანს ფუტბოლი“.

რატომ მაინცდამაინც ფრანგული გამოცემა და არა იტალიური მედია? ამ ცნობის უტყუარობაზე, ცხადია, თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ფაქტია, რაც არ უწერია იტალიელებს, უწერია ფრანგებს.

„ფრანს ფუტბოლი“: „ჟოზე მაურინიუმ „მილანთან“ წინასწარი ხელშეკრულება უკვე გააფორმა. სწორედ ამიტომ თქვა უარი ინგლისის ნაკრების გაწვრთნაზე, რადგან საყოველთაოდაა ცნობილი ჟოზეს პირდაპირი და უტეხი ხასიათი. მან „როსონერის“ შეფებს პირობა მისცა, პირობა, რომელსაც არაფრისდიდებით არ გატეხს“.





და დიდიე დროგბა? რა შუაშია აქ დროგბა? ლონდონის „ჩელსის“ კოტდიუვარელი ფორვარდი შუაში კი არა, თავშია — მაურინიუს პირველი მილანური შენაძენი, ამ შემთხვევაში, სწორედ იგია და მის გადასაბირებლად სილვიო ბერლუსკონის, „მილანის“ პატრონს, 32 მილიონი ევრო უკვე გამზადებული აქვსო — დასძენს „ფრანს ფუტბოლი“.

ცნობისთვის, დიდიე დროგბა გუშინ აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ხოლო როგორ „დაიტირა“ კოტდიუვარელმა „ჩელსიდან“ მაურინიუს წასვლა, ახლა ამაზე არ შევჩერდებით, ისედაც ბევრჯერ გვეწერა.

**გიორგი გუგაძიძე**

# ჯერარდმა ანრი სცადა



**„ლივერპულის“** კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა გაამხილა, რომ ტიერი ანრის გადაბირებას ცდილობდა. „არსენალის“ ფრანგმა მეგობრლემ ამ ზაფხულს „ბარსელონაში“ გადასვლა არჩია, ხოლო „ლივერპულმა“ „ატლეტიკოდან“ ფერნანდო ტორესი იყიდა, რომელმაც შაბათს „პორტსმუტთან“ დუბლი შეასრულა. 20 მილიონ გირვანქად ნაყიდმა ესპანელმა ამ სეზონში უკვე 14 გოლი მოაგროვა.

„მესიჯი რამდენჯერმე გავუგზავნე და მაინტერესებდა, ჩემს წინადადებას როგორ შეხვდებოდა — თქვა ჯერარდმა — ძალიან გამიხარდებოდა, „ლივერპულის“ მაისურით რომ მენახა, ისევე, როგორც გუნდის ქომაგებს. სამწუხარდ, „ლივერპულს“ „ბარსელონა“ ამჯობინა და მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ. ისე კი, „ლივერპულს“ დიდად აფასებდა. არ მახსოვს, ზუსტად როდის, მაგრამ ერთ დღეს ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და ერთმანეთს მესიჯებს ვწერდით, ან ვსაუბრობდით ხოლმე. ძალიან სასიამოვნოა, როცა ასეთი დონის ფეხბურთელი რჩევებს გაძლევს და რთული მატჩების წინ მორალურად გამხნევებს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# განკიცხული

## რონი ინჩადამ საბოლოოდ მოიძულა

**ის, ვინც** სულ რაღაც ერთი წლის წინ „ბარსელონას“ ფანთა სათაყვანო გმირი იყო, დღეს კატალონიური ინჩადას ყველაზე საძულველ კაცად გადაიქცა. რონალდინიოს მადრიდის „რეალთან“ წაგებული „ელ კლასიკოს“ შემდეგ პოლიციის კორდონი დასჭირდა ფანთაგან თავის დასაცავად — „ბარსას“ გულშემატკივრები პრატის აეროპორტში ბრაზილიელის შუაზე გასაგლეჯად იწევდნენ...

— მატჩი, რომელშიც რონი თავდადებული, მაგრამ ფრიად უნაყოფოდ დამაშვრალი მეომარი გახლდათ, კატალონიელ გულშემატკივართა მოთმინების ფიალაში ბოლო, წამლეკავი წვეთი გამოდგა. თამაშის მერე „კიჭა“ პრატის აეროპორტში წავიდა სამშობლოში გასამგზავრებლად და იქ გამოჩნდა, რომ ინჩადას იოტისოდენა პატივისცემაც აღარ შერჩენია ოდესღაც კერპად აღიარებული ოკეანისგაღმელისა. საშინელი გინება და ფიზიკური მუქარა იყო ფანთა მხრიდან წაგებული კაცისადმი გამოსათხოვარი „საჩუქარი“ და ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რონალდინიო ბრაზილიაში საშობაო არდადეგებს რა ძალუმადურად გაატარებს.



**ლადო ხომერიძე**

# თვალთვალი

**„ჩელსის“** პატრონი რომან აბრამოვიჩი ამიერიდან ფეხბურთელების თვალთვალს მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შეძლებს, მათ შორის ქალაქ ანადირიდანაც, რომელიც ჩუკოტკის ავტონომიური ოლქის დედაქალაქია. „ჩელსის“ კობჰემის ბაზაზე სუპერთანამედროვე სათვალთვალო სისტემა დაამონტაჟეს და ჩუკოტკის გუბერნატორი ფეხბურთელების თუ კლუბის თანამშრომლების ყოველ ნაბიჯს დააკვირდება.

# მოუხსნეს და დაუნიშნეს

**„მეცის“** მწვრთნელი ფრანსის დე ტადეო თანამდებობიდან მოხსნეს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან გუნდმა 19 მატჩში ერთხელ მოიგო, ცხრაზე მეტი ვერ გაიტანა და შვიდი ქულით ბოლო ადგილზეა. „სამი კვირის წინ შევთანხმდით, რომ თუ შედეგები არ გაუმჯობესდებოდა, დე ტადეოს გავუშვებდით. სამწუხაროდ, ასე მოხდა და მწვრთნელის გათავისუფლებაც მოგვიწია“ — თქვა კლუბის პრესდივანმა გასულ უქმეებზე „ლორიანთან“ 0:2 მარცხის შემდეგ. „მეცის“ ახალ მწვრთნელად კი ივონ პულიკენი დანიშნეს.

# ფერგიუსონი ლამს ლამობს

**„ბილდის“** ცნობით, ალექს ფერგიუსონს „ბაიერნიდან“ ფილიპ ლამის გადაბირება სურს. „მანჩესტერის“ მწვრთნელი დაცვის ხაზის გადახალისებას აპირებს, რადგან გარი ნევილი სიბერისკენ მიდის. ლამი 24 წლისაა, ნაკრებში 37-ჯერ უთამაშია და „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2009-ის ივნისში ეწურება. ფეხბურთელს ფასი დაახლოებით 15 მილიონი ევროა. „მანჩესტერი“ მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველით ბრანისლავ ივანოვიჩითაცაა დაინტერესებული.

# ზედიზედ კოლო კოლო

**„კოლო კოლო“** ზედიზედ მეოთხედ გახდა ჩილეს ჩემპიონი. ამ გუნდმა „კონსეპსიონი“ ფინალის მეორე მატჩში 3:0 დაამარცხა. პირველი შეხვედრა „კოლო კოლოს“ 1:0 ჰქონდა მოგებული. გუნდისთვის ეს 27-ე ჩემპიონობაა. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე მისი უახლოესი მდევრის, „უნივერსიდად დე ჩილეს“ ანგარიშზეა. „კოლო კოლომ“, რომელსაც კლაუდიო ბორგი წვრთნის, აპერტურაც მოიგო და კლაუსურაც.

# სისულელე

**„ევერტონმა“** გლაზგოს „სელტიკს“ ჯეიმს მაკფადენზე უარი უთხრა. შოტლანდიელებს 24 წლის ფორვარდის იჯარით წაყვანა სურდათ. „სისულელეა. მაკფადენს „სელტიკს“ ვერ ვათხოვებთ“ — თქვა „ევერტონის“ აღმსრულებელმა დირექტორმა კეიტ უაინესმა. ამ სეზონში ფორვარდმა ათ მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

# არ დავბრუნდები

**„ევროსპორტის“** ცნობით, კრის კოულმენი, რომელიც ამჟამად „სოსიედადს“ თავკაცობს, „ფულემში“ დაბრუნებას არ აპირებს. ლონდონურმა კლუბმა პარასკევს ლორი სანჩესი გაათავისუფლა და მის შემცვლელს ეძებს. კოულმენი კი „ფულემიდან“ ამ წლის აპრილში მოხსნეს. სანჩესმა სწორედ უელსელი შეცვალა. „კოტეჯერთა“ კანდიდატების ნუსხაში იურგენ კლინსმანი და ჯონ კოლინზი არიან.

# ლედესმას ზაფხული

**„ლაციოს“** ფეხბურთელის კრისტიან ლედესმას აგენტი მისი კლიენტის „ფიორენტინაში“ გადასვლას არ გამორიცხავს. „ვიცი, რომ „ფიორენტინას“ სპორტულ დირექტორს პანტალეო კორვინოს ლედესმას გადაბირება სურს. ის კარგად იცნობს ფეხბურთელს და სწორედ მან გადაიყვანა „ლეჩეში“, როცა თვითონ ამ გუნდში მუშაობდა. ტრანსფერი იანვარში გამორიცხულია, მაგრამ ზაფხულში შესაძლებელია“ — თქვა აგენტმა ვინჩენცო დიოპოლიტომ.

# ბალაკის გეგმა

**„ჩელსის“** ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი მომავალ სეზონში ევრო 2008-ის და ჩემპიონთა ლიგის მოგებას გეგმავს. „ვიმედოვნებ, რომ 2008-09 წლების სეზონი ჩემთვის ჯილდოებით დატვირთული იქნება — განაცხადა ბალაკმა. ევროპის ჩემპიონობას და ჩემპიონთა თასს ვგულისხმობ. რვათვიანმა მკურნალობამ ჩემს ფორმას დაღი დასვა, მაგრამ გულშემატკივრებს მოთმინებისთვის მადლობას კარგი თამაშით გადავუხდი“.

# სვამს

**„ინტერიდან“** „სან პაულუში“ განათხოვრებული ადრიანო ისევ სვამს. ბრაზილიურმა „ესტადიუ დუ სან პაულუმ“ და „ოდიამ“ გამოაქვეყნეს სურათები, რომელზეც ფეხბურთელი ლუდის კათხით ხელშია გამოჭერილი. ფორვარდმა „ინტერში“ მთელი წელიწადი ლოთობის გამო ჩაავდო. „სან პაულუში“ კი იმიტომ გაუშვეს, რომ ახალი ცხოვრება დაეწყო და გამოსწორებულიყო. შაბათს საღამოს, კონრაქტზე ხელის მოწერიდან მეორე დღეს, ადრიანომ კონცერტზე რონალდოსთან ერთად მოილხინა და სურათზე „მილანის“ თავდამსხმელიც ჩანს. მერე რიო დე ჟანეიროში წასულა წვეულებაზე და იქ ედმუნდოსთან ერთად უქეიფია.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ჩილე

**კლაუსურა. პლეი ოფი. ფინალი. საპასუხო მატჩი**

**კოლო კოლო 3:0 უნიონ კონსეპსიონი (1:0)**

# ლიგაღა დაგვრჩა და...
## სულით ინგლისური არსენალი

ამ სეზონში „არსენალი“ ჩემპიონთა ლიგას მოიგებს და მსოფლიოს უდიადესი გუნდობისკენ კიდევ ერთ შთამბეჭდავ ნაბიჯს გადადგამს — ასე სწამს „მეთოფეთა“ დირექტორს, კით ედელმანს. მას ეჭვი არ ეპარება, რომ „არსენალის“ ისტორიაში დადგა დრო, როდესაც ამ გუნდმა ევროპაში მადრიდის „რეალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ადგილი უნდა დაიკავოს, რისთვისაც სწორედ ისეთი ფინანსური ბაზისია საჭირო, დღეს რომ აქვთ ლონდონელებს.

**ინგლისის** პრემიერლიგაში ერთადერთი გუნდი, რომელსაც მატერიალურად კონკურენციის გაწევა შეუძლია რომან აბრამოვიჩის „ჩელსია“ — ასე ამბობს კლუბის სამენეჯერო საქმიანობის უსტაბაში, თუმცა იქვე დასძენს, რომ მიმდინარე სეზონში „არსენალი“ „ჩელსის“ ფეხბურთის თამაშით აღემატება, ქომაგთა რაოდენობით კი ლონდონელ „ლურჯებზე“ წინ „მეთოფეთა“ გარდა „მანჩესტერ იუნაიტედიც“ არის.

მაშ ასე, ჩემპიონთა ლიგა... მოგეხსენებათ, არსენ ვენგერის გუნდი ამ შეჯიბრების მერვედფინალში „მილანს“ უნდა შეხვდეს, თუმცა 2007 და 2008 წლების გასაყარზე მას ფავორიტების ნამდვილად არ ეშინია და პირიქით, თავად გრძნობს თავს მსოფლიო ფავორიტად.

ედელმანი: „ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება გვსურს, ასე რომ, „მილანთან“ დაპირისპირება ვეტერანთა და ახალგაზრობის საინტერესო თამაშებს გვპირდება. ეს იქნება მსოფლიოს უდიდესი გუნდების ჯახი. დიახ, კენჭისყრამ რთული მეტოქე შეგვახვედრა, მაგრამ ამ ეტაპზე ეს მოსალოდნელიც გახლდათ...

...ჩვენ ვამაყობთ, რომ მაშინ, როდესაც სხვა ინგლისური კლუბები ფინანსური კეთილდღეობისთვის უცხოელებს მიეყიდნენ, ჩვენ საკუთარი გეზი შევიმუშავეთ და ამ გეზს წარმატებისკენ მივყავართ...

...ვიცი, ჩვენს გუნდში შეკრებილ უცხოელ ფეხბურთელთა რაოდენობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ მინდა ყველა დავარწმუნო, რომ სულით „არსენალი“ ტიპიური ინგლისური გუნდია. ჩვენ უცხოურ ვერცხლს არ მივეყიდეთ და თავისთავადობა შევინარჩუნეთ. საკუთარი მეურნეობის მართვის ჩვენეული სისტემა და პრინციპები გვაქვს, რომელიც ძალიან ჰგავს „ბარსელონასა“ და „რეალის“ პრინციპებს. წლიური შემოსავალიც იმდენივე გვაქვს, რამდენიც „რეალს“. მალე „მანჩესტერ იუნაიტედი“ გამოაქვეყნებს თავის ანგარიშს და ალბათ, მისი რიცხვები ჩვენსაზე უკეთესი იქნება, მაგრამ ვფიქრობ, რამდენიმე წელიწადში „არსენალი“ წარმატების კიდევ ერთ წრეს შემოირბენს და კიდევ უფრო დიდ სიმაღლეზე ავა. მთავარია, რომ ჩვენ სწორი მიმართულებით მივდივართ. ერთი სიტყვით, „არსენალისთვის“ მნიშვნელოვანია, ბოლომდე უერთგულოს თავის ხედვას, როგორც მოედანზე ასევე მოედანს მიღმა...

...მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბი უკვე ვართ და თუ ჩემპიონთა ლიგასაც მოვიგებთ, თვისობრივად ავმაღლდებით. ჩვენი ქომაგების რაოდენობა მთელ მსოფლიოში გაიზრდება...



...ახალ სტადიონს რომ ვაშენებდით, კარგად ვიცოდით, რომ გუნდი და ქომაგი გაცილებით უკეთეს ადგილას გადაგვყავდა...

...დიახ, რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ გვიჭირდა, რადგან ის შემოსავალი, რომელიც ახალ სტადიონს მოჰყვა მაშინ არ გვქონდა. მაშინ გვაკლდა შემოსავლის სხვა დამატებითი წყაროებიც, მაგალითად, სპონსორები და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, ჩვენ ყოველთვის საკუთარი თავის იმედი გვაქვს და წარმატებასაც ამით მივაღწევთ. „არსენალი“ 10 წელიწადია განვითარების გზას ადგას და დღეს ფინანსურად ძალიან ძლიერი კლუბია....

...საოცარი სისწრაფით იზრდება ჩვენი ფანების რაოდენობაც. განსაკუთრებული ზრდა გვაქვს შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ ვიეტნამსა და ტაილანდში. ბევრს ვმუშაობთ ამერიკის ფრონტზეც. ხუთ წელიწადში ჩვენი საიტის ინტერნეტ-მომხმარებლის რაოდენობა 2,5 მილიონამდე გაიზარდა, ბილეთების გაყიდვა კი 45 ათასამდე ავწიეთ....

...„ემირატების“ სტადიონის მშენებლობა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა და ხარჯი შემოსავლად გვექცა...“

**ბაჩუნა ძიდია**



ტიერი ანრის დროინდელი „არსენალი“ ერთი წლის წინ ძალიან ახლოს იყო ჩემპიონთა ლიგის მოგებასთან



# კაკაზე მეტად მაიკლ ჯორდანი

**ალექს ფერგიუსონის** თანაშემწე კარლუშ კეიროში ამტკიცებს, რომ კრიშტიანუ რონალდუ კაკაზე უკეთესია. გასულ კვირაში კაკა ფიფამ წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა, პორტუგალიელი კი მესამეზე გავიდა, რასაც კეიროში არ ეთანხმება: „კარიერის განმავლობაში ზიდანის, რონალდოს, რაულისა და რობერტო კარლოსის დარ ფეხბურთელებთან მიმუშავია. გულწრფელად ვამბობ, რომ კრიშტიანუს მსგავსი შემოქმედი და ფანტაზიით სავსე მოთამაშე არასოდეს მინახავს. „ფრანს ფუტბოლმაც“ და ფიფამაც პირველობა კაკას არგუნეს, მაგრამ, ჩემი აზრით, რონალდუ სჯობს. კაკას ერთადერთი უპირატესობა ჩემპიონთა თასია. კრიშტიანუ ინგლისის და მხოლოდ ევროპის კი არა, მსოფლიოს ყველა დროის



ერთ-ერთი საუკეთესო გახდება, ისეთივე ვარსკვლავი, როგორიც კალათბურთში მაიკლ ჯორდანი იყო. ორივე გენიოსია“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფრანგმა ინგლისისთვის იტალიელს ესპანელი შეაპარა



**„არსენალში“** ხომ თეო უოლკოტის გარდა ინგლისელს ვერ იპოვი და არსენ ვენგერს უნდა, რომ ერთი უცხოელი ინგლისის ნაკრებშიც შეაპაროს. ფრანგის აზრით, ფაბიო კაპელომ „არსენალის“ ესპანელ მეკარეს მანუელ ალმუნიას ყურადღება უნდა მიაქციოს.

ესპანელი გოლკიპერი „მეთოფეებში“ 2004 წელს „სელტადან“ გადავიდა და დიდხანს იენს ლემანის ჩრდილში იყო. ამ სეზონის დასაწყისში გერმანელს ორი შეცდომა ადგილის დაკარგვად დაუჯდა და ვენგერმა ალმუნია დააწინაურა, რომელმაც უკვე 22 მატჩი მოიგო. მას ესპანეთის ნაკრებში არასოდეს უთამაშია და ადრეც უთქვამს, ნებისმიერი სხვა ევროპული ქვეყნის დროშის ქვეშ თამაშზე თანახმა ვარო.

შაბათს „ტოტენჰემთან“ მატჩში ალმუნიამ პენალტი მოიგერია და გმირად იქცა, ვენგერმა კი საქები სიტყვები არ დაიშურა: „ჩემი აზრით, ინგლისის ნაკრები მოგებული დარჩება, თუ ესპანელს მიიწვევს. მანუელმა ამ შემოდგომაზე სახელი უკვე გაითქვა და დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის მოთამაშეა. იგი დიდი გუნდის მთავარი მეკარე გახდა, ეს კი „არსენალში“ ძალიან ძნელია. აქამდე მას ევროგრანდებში არასოდეს უთამაშია. ცხადია, ჩვენთან მოსვლის დღიდან შეცდომებიც ჰქონდა, მაგრამ რწმენა და მოთმინების უნარი არ დაუკარგავს. შეუმცდარი მეკარე თვით ვან დერ სარიც კი არაა, არადა, ალმუნია გაცილებით რთულ ვითარებაში იყო, რადგან იენს ლემანისთვის უნდა ეჯობნა. იგი კონკურენციას არ შეუშინდა და თავისი გაიტანა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 17:00 | 30 | ვესტ ჰემი-რედინგი | 1.90 | 3.10 | 3.70 | 1.17 | 1.25 | 1.68 |
| 19:00 | 31 | უიგანი-ნიუკასლი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 19:00 | 32 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 2.25 | 3.10 | 2.95 | 1.30 | 1.27 | 1.51 |
| 17:00 | 33 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.40 | 3.90 | 7.20 | 1.03 | 1.17 | 2.52 |
| 19:00 | 35 | დერბი-ლივერპული | 9.00 | 4.60 | 1.30 | 3.04 | 1.13 | 1.01 |
| 19:00 | 36 | ევერტონი-ბოლტონი | 1.65 | 3.40 | 4.65 | 1.11 | 1.21 | 1.96 |
| 23:45 | 38 | პორტსმუთი-არსენალი | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 19:00 | 40 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 7.00 | 4.20 | 1.40 | 2.62 | 1.16 | 1.04 |
| 17:00 | 42 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.47 | 3.70 | 7.00 | 1.05 | 1.21 | 2.42 |
| | | 27 დეკემბერი | | | | | | |
| 23:45 | 37 | სიტი-ბლექბერნი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 73 | შეფილდი-ბლეკპული | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 16:00 | 74 | უოტფორდი-კარდიფი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 19:00 | 75 | ბარნსლი-სტოკი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 76 | ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 77 | ბარნლი-უენსდი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 78 | კოლჩესტერი-საუთჰემპტონი | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 19:00 | 79 | ქოვენთრი-კრისტალ პალასი | 2.35 | 3.10 | 2.85 | 1.33 | 1.28 | 1.48 |
| 19:00 | 80 | ჰალი-ვულვერჰემპტონი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 19:00 | 81 | ლესტერი-იფსვიჩი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 82 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 2.65 | 3.10 | 2.50 | 1.42 | 1.28 | 1.38 |
| 19:00 | 83 | პლიმუთი-ქპრ | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| 19:00 | 84 | პრესტონი-სკანთორპი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 18:00 | 121 | სუონსი-ჩელტენემი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 19:00 | 122 | ტრანმერი-კარლაილი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 123 | ბორნმუთი-ლეიტონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 18:00 | 124 | იოვილი-სუინდონი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 125 | როვერსი-ლუტონი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:45 | 126 | დონკასტერი-ნორთჰემპტონი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 17:00 | 127 | ჯილინგემი-საუთენდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 16:00 | 128 | ჰარტლპული-ლიდსი | 3.20 | 3.30 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |
| 19:00 | 129 | ჰადერსფილდი-ქრიუ | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 17:00 | 130 | მილუოლი-ბრაიტონი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 19:00 | 131 | ოლდემი-ნოტინგემი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 19:00 | 132 | პორტ ვეილი-უოლსოლი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 181 | ნოტსი-დონსი | 3.65 | 3.40 | 1.85 | 1.76 | 1.22 | 1.19 |
| 19:00 | 182 | შრიუსბერი-სტოკპორტი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 184 | რექსემი-როჩდეილი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 19:00 | 185 | ბრედფორდი-ლინკოლნი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 17:00 | 186 | ბრენტფორდი-უიკომბი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 19:00 | 187 | ბერი-ჩესტერფილდი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 19:00 | 188 | დარლინგტონი-როტერჰემი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 19:00 | 189 | გრიმსბი-აკრინგტონი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 19:00 | 190 | მაკლსფილდი-ჰერეფორდი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 191 | მენსფილდი-პიტერბრო | 3.65 | 3.20 | 1.90 | 1.70 | 1.24 | 1.19 |
| 19:00 | 192 | მორკემბი-ჩესტერი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 241 | სალისბერი-ვეიმუთი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 242 | იორკი-დროილსდენი | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 19:00 | 24.3 | ფარსლი-ჰალიფაქსი | 2.55 | 3.10 | 2.50 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| 16:00 | 244 | ექსეტერი-ტორკი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 245 | ოქსფორდი-ქროული | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 246 | კემბრიჯი-ჰისტონი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 19:00 | 247 | რაშდენი -სტივენეიჯი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 248 | ფორესტ გრინი-კიდერმინსტერი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 16:00 | 249 | უოკინგი-ალდერშოტი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 19:00 | 250 | ალტრინჰემი-ნორთვიჩი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 19:00 | 251 | გრეისი-ებსფლითი | 2.10 | 3.10 | 3.15 | 1.25 | 1.25 | 1.56 |
| 19:00 | 252 | სტეფორდი-ბარტონი | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 289 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 19:00 | 290 | რეინჯერსი-მაზერუელი | 1.35 | 4.40 | 7.50 | 1.03 | 1.14 | 2.77 |
| 20:00 | 291 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 4.90 | 3.50 | 1.60 | 2.04 | 1.20 | 1.09 |
| 19:00 | 292 | ფოლკირკი-ინვერნესი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 293 | გრეტნა-აბერდინი | 4.25 | 3.30 | 1.75 | 1.85 | 1.23 | 1.14 |
| 19:00 | 294 | ჰართსი-სტ.მირენი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| | | შოტლანდია | | | | | | |
| | | I დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 313 | ჰამილტონი-კლაიდი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| 19:00 | 315 | მორტონი-დანფერმლაინი | 2.10 | 3.40 | 2.85 | 1.29 | 1.20 | 1.55 |
| 19:00 | 316 | ქუინი-დანდი | 3.70 | 3.40 | 1.80 | 1.77 | 1.21 | 1.17 |
| 19:00 | 317 | სტირლინგი-სტ.ჯონსტონი | 3.50 | 3.40 | 1.85 | 1.72 | 1.21 | 1.19 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 333 | ერდრი-ალოა | 2.15 | 3.40 | 2.80 | 1.31 | 1.21 | 1.53 |
| 19:00 | 334 | ბერიკი-რეითი | 5.00 | 3.90 | 1.50 | 2.19 | 1.15 | 1.08 |
| 19:00 | 335 | პიტერჰედი-ბრეჩინი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 19:00 | 336 | ქუინზ პარკი-ეარი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 19:00 | 337 | როსი-კოუდენბითი | 1.50 | 3.90 | 5.30 | 1.08 | 1.16 | 2.24 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 28 | ისტ ფაიფი-არბროთი | 1.40 | 4.30 | 6.00 | 1.05 | 1.13 | 2.50 |
| 19:00 | 29 | სტრანრარი-ალბიონი | 1.75 | 3.50 | 3.80 | 1.16 | 1.19 | 1.82 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 17:30 | 499 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 15:30 | 500 | ნაიმეგენი-ვენლო | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 17:30 | 501 | გრონინგენი-პსვ | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| 15:30 | 503 | ფეიენოორდი-სპარტა | 1.25 | 4.70 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 2.96 |
| | | 27 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 23:00 | 505 | ბრედა-ვიტესი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 23:00 | 506 | აიაქსი-ტვენტე | 1.50 | 3.80 | 6.00 | 1.07 | 1.20 | 2.32 |
| 23:30 | 508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 23:00 | 509 | როდა-ჰერენვენი | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 28 დეკემბერი | | | | | | |
| 21:00 | 656 | მოდო-ლულეო | 1.65 | 4.10 | 3.00 | 1.17 | 1.06 | 1.73 |
| 21:00 | 657 | სიოდერტელიე-ტიმრე | 2.20 | 4.00 | 2.10 | 1.41 | 1.07 | 1.37 |
| 21:00 | 658 | ლინჩიოპინგი-ფერიესტადი | 1.90 | 4.00 | 2.40 | 1.28 | 1.06 | 1.50 |
| 21:00 | 659 | მორა-აიკ | 1.80 | 4.20 | 2.50 | 1.25 | 1.04 | 1.56 |
| 21:00 | 660 | ფრიოლუნდა-ბრიუნესი | 1.50 | 4.20 | 3.60 | 1.10 | 1.05 | 1.93 |
| 21:00 | 661 | ჰვ 71-იურგორდენი | 1.45 | 4.20 | 3.90 | 1.07 | 1.05 | 2.02 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 27 დეკემბერი | | | | | | |
| 20:30 | 694 | ჰელსინკი-კალპა | 1.35 | 4.50 | 4.70 | 1.03 | 1.04 | 2.29 |
| 20:30 | 695 | კერპეტი-ტაპარა | 1.50 | 4.20 | 3.60 | 1.10 | 1.05 | 1.93 |
| 20:30 | 696 | ლუკო-ესპოო | 2.20 | 4.00 | 2.00 | 1.41 | 1.04 | 1.33 |
| 20:30 | 697 | პელიკანსი-ჰაამეენლინა | 1.30 | 4.40 | 4.70 | 1.00 | 1.01 | 2.27 |
| 20:30 | 698 | სეიპა-იუვესკიულე | 2.30 | 4.00 | 2.00 | 1.46 | 1.06 | 1.33 |
| 20:30 | 699 | ტურკუ-ესეტი | 1.35 | 4.30 | 4.40 | 1.02 | 1.03 | 2.17 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 736 | ზლინი-კარლოვივარი | 2.00 | 4.00 | 2.30 | 1.33 | 1.06 | 1.46 |
| 20:00 | 737 | პლზენი-ლიტვინოვი | 1.55 | 4.00 | 3.10 | 1.11 | 1.03 | 1.74 |
| 20:00 | 738 | ტრჟინეცი-ლიბერეცი | 2.10 | 4.00 | 2.10 | 1.37 | 1.04 | 1.37 |
| 20:00 | 739 | ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 2.20 | 4.00 | 2.00 | 1.41 | 1.04 | 1.33 |
| 20:00 | 740 | უსტი-ზნოიმო | 2.30 | 4.00 | 1.90 | 1.46 | 1.04 | 1.28 |
| 20:00 | 741 | კლადნო-სპარტა | 2.30 | 4.00 | 2.00 | 1.46 | 1.06 | 1.33 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 28 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 794 | ჟილინა-პოპრადი | 2.30 | 4.00 | 2.00 | 1.46 | 1.06 | 1.33 |
| 20:00 | 795 | მიხალოვცე-ზვოლენი | 2.60 | 4.10 | 1.80 | 1.59 | 1.06 | 1.25 |
| 20:00 | 796 | სკალიცა-ტრენჩინი | 2.20 | 4.00 | 2.10 | 1.41 | 1.07 | 1.37 |
| 20:00 | 797 | კეჟმაროკი-კოშიცე | 2.50 | 4.10 | 1.90 | 1.55 | 1.07 | 1.29 |
| 20:00 | 798 | ნიტრა-მარტინი | 2.50 | 4.10 | 1.80 | 1.55 | 1.04 | 1.25 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 26 დეკემბერი | | | | | | |
| 17:30 | 828 | ფრანკფურტი-ჰანოვერი | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |
| 17:30 | 829 | ჰამბურგი-აიხბარენი | 2.20 | 4.20 | 2.20 | 1.44 | 1.10 | 1.44 |
| 21:30 | 830 | ვოლფსბურგი-აუგსბურგი | 2.00 | 4.00 | 2.20 | 1.33 | 1.04 | 1.41 |
| 21:30 | 831 | ბერლინი-დიუსელდორფი | 1.80 | 4.20 | 2.50 | 1.25 | 1.04 | 1.56 |
| 21:30 | 832 | კრეფელდი-კიოლნი | 2.30 | 4.00 | 2.00 | 1.46 | 1.06 | 1.33 |
| 21:30 | 833 | ნიურნბერგი-ინგოლშტადი | 1.60 | 4.20 | 3.00 | 1.15 | 1.04 | 1.75 |
| 21:30 | 878 | ნიურნბერგი-ინგოლშტადი | 1.00 | | | | | |

# როკის კვირეულში სოლისტი ცინცაძეა

ქართველ ლეგიონერთაგან ყველაზე დატვირთული გიორგი ცინცაძეა, ვისი „როკიც“ სამ ფრონტზე იბრძვის — ბალტიის ლიგაში, ევროთასზე და ესტონეთის ჩემპიონატში. გასულ კვირაში ცინცაძეს სამჯერ მოუწია მოედანზე გასვლა — ევროთასზე რუსულ „სამარასთან“ და ორჯერ ქვეყნის ჩემპიონატში. ქართველი ერთხელ ბომბარდირი გახდა, ერთხელაც მოედანზე მყოფთაგან უმეტესი პასი მიითვალა. ცინცაძესთან ერთად გასულ კვირაში ნიკოლოზ ცქიტიშვილი გამოირჩა, თუმცა მის მონაგარს ეფექტი ნაგებამ დაუკარგა...




### ესტონეთი

შობა-ახალწელიწადამდე ასწრებენ, თუ რა ამბავია ამდენი მატჩები, ძნელი სათქმელია: „როკმა“ გასულ კვირაში ერთბაშად სამი თამაში ჩაატარა და ყველაში იმარჯვა. რაც მთავარია, ჩვენიანმა გამოიჩინა თავი, ვინც ტარტუელების გამარჯვებებში ლომის წილი დაიდო.

„როკმა“ ყველა შეხვედრა იოლად მოიგო, თუმც განსაკუთრებული გემო ალბათ რუსული „სამარის“ დამარცხებას ჩაატანა. ტარტუელებმა 20 ქულით დაჯაბნეს მეტოქე, ქართველმა გამთამაშებელმა კი თავის ყოფილ გუნდზე ჯავრი იყარა. საქმე ისაა, რომ ცინცაძე 2 წლის წინ თამაშობდა „სამარაში“, მაგრამ ეს გუნდი მწვრთნელთან ჩხუბის გამო დატოვა.

გიორგიმ 32 წუთი ითამაშა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ და 10 ქულასთან ერთად 9 პასი, 6 მოხსნა და 4 ჩაჭრა მიითვალა.

დანარჩენი გამარჯვებები „როკმა“ ესტონეთის რიგით გუნდებთან გასვლაზე მოიპოვა. „პარნუს“ 88:83 მოუგო, ხოლო „დალკია“ 74:54 დაჩაგრა და შიდაჩემპიონატის ცხრილში პოზიციები გაიმყარა.

„პარნუსთან“ ცინცაძემ 25 წუთში ექვსივე ორქულიანი ჩააგდო, მისმა ერთადერთხელ ნასროლმა სამიანმაც უწია მიზანს და საჯარიმოს ხაზიდანაც ერთი რომ არ აეცილებინა, მოედანს ასპროცენტიანი შედეგით დატოვებდა. ასე კი მან 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და მთლიანობაში 18 ქულა დაუგროვდა, რაც საკუთარ გუნდში ბომბარდირობისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

„დალკიასთან“ გიო ცოტა მოკრძალებული იყო — 28 წუთში 6 ქულა დააგროვა, თუმცა 5-5 მოხსნა-პასი მიითვალა და თავისიანებს გამარჯვებაში ხელი გვარიანად წააშველა.

### იტალია

კარგა ხნის შესვენების შემდეგ ნიკოლოზ ცქიტიშვილმა ისევ გადააბიჯა ათქულიან ზღვარს. სეზონის ყოჩაღად დაწყების შემდეგ „ტერამოს“ ქართველი ცენტრი ცოტა მოდუნდა, თუმც გასულ კვირას თავი ისევ გამოიჩინა.

„ტერამო“ ბოლონიურ „ლაფორტეზს“ შეხვდა და დიდი სხვაობით წააგო — 72:99. ჩვენიანმა 24 წუთში 15 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ცქიტიშვილმა სამქულიანების გემო გაიხსენა და ბოლონიელებს 2-ჯერ ჩაუგდო შორიდან.

### უკრაინა

ნოემბრის აზვირთების შემდეგ მანუჩარ მარკოიშვილმა მექულეობას უკლო, თუმცა, რაც მთავარია, სტაბილურობას ინარჩუნებს. რა თქმა უნდა, არავინ ელოდა, რომ მანუჩარი ყოველ მატჩში 27 ქულას ჩააგდებდა (მან ეს ნოემბერში მიჯრით ორჯერ მოახერხა), თუმცა „ბკ კიევის“ ქომაგებს მისი ეიმედებათ და მარკოიშვილიც თავს არ ირცხვენს.

კიეველებმა უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში „პოლიტექნიკა“ 90:78 დაამარცხეს. ქართველი უკანახაზელის ანგარიშზე 30 წუთში 12 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 შედეგიანი გადაცემა დაგროვდა. კიეველები ცხრილში ყველას ზემოდან დაჰყურებენ. მათ ამ სეზონში ყველა მეტოქე დაამარცხეს.

### რუსეთი

ვლადიმერ ბოისამ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა რუსულ სუპერლიგაში, თუმცა მისმა „სპარტაკ-პრიმორიემ“ ისევ წააგო. ვლადივოსტოკელები ყაზანში „უნიკსს“ შეხვდნენ და უიმედოდ რომ დამარცხდნენ, ამაში ყველაზე ნაკლები დანაშაული ბოისას მიუძღვის.

ვოვამ ხუთეულში დაიწყო თამაში და მოედანზე გატარებული 30 წუთის განმავლობაში 15 ქულა, 4 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიითვალა. ბოისა თანაგუნდელ ლენელ ბრემერთან ერთად „სპარტაკის“ ბომბარდირი გახდა.

### ესპანეთი

ისევ წააგო ტაისონ ელისის „კახასოლმა“. ამ გუნდის წარუმატებლობამ უკვე პერმანენტული ხასიათი მიიღო და ელისის ნაჯაფსაც ეკარგება ელფერი. ქართულად ნატურალიზებულმა ამერიკელმა 4 სამიანი ჩაუგდო „გრანადას“, ჯამში 16 ქულა დააგროვა, მაგრამ...

### ნბა

როგორც იქნა, ზაზა ფაჩულიამ ტრავმიანობა უკან მოიტოვა და მოედანს დაუბრუნდა. გასულ კვირაში მისმა „ატლანტამ“ სამივე მატჩი მოიგო და ქართველი ცენტრი ყველაზე მეტად „მაიამისთან“ გამოირჩა. შაკილ ონილის წინააღმდეგ ფაჩულიამ თავი არ შეირცხვინა და 13 ქულასთან ერთად 8 მოხსნაც მოიხვეჭა. თავად ონილმა კი მოედანი 16 ქულითა და 7 მოხსნით დატოვა. უფრო სწორად, იძულებით დაატოვებინეს, რადგან ფაჩულიასთან ორთაბრძოლაში შაკს 6 პერსონალური დაუგროვდა.

სამწუხარო ისაა, რომ ამ ტრავმიანობამ ქართველ ცენტრს ხუთეულში ადგილი დააკარგვინა. მის არყოფნაში ატლანტელთა ახალბედა ცენტრმა ალ ჰორფორდმა თავი ისახელა და...

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



# ვის უნდა სწრაფი 20 000?
## კობიმ უილტს რეკორდი აართვა

23 დეკემბერი

**ნიუ იორკი 90:95 ლეიკერსი**

ნიუ იორკი: კროუფორდი (31), რობინსონი (16), ლი (12 ქულა, 13 მოხსნა)

ლეიკერსი: ბრაიანტი (39 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), ბინამი (13)

**დეტროიტი 94:82 ჰიუსტონი**

დეტროიტი: ჰამილტონი (17), ვოლესი (14 ქულა, 10 მოხსნა); მაკდაიესი (12 ქულა, 11 მოხსნა)

ჰიუსტონი: სკოლა (18), მაკგრეიდი (14), მინი (12)

**კლივლენდი 96:105 გოლდენ სტეიტი**

კლივლენდი: ჯეიმსი (25), ილგაუსკასი (20)

გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (29), დევისი (27 ქულა, 10 პასი, 5 მოხსნა, 4 ჩაჭრა), ელისი (19), ჰარინგტონი (16)

**ბოსტონი 103:91 ორლანდო**

ბოსტონი: პირსი (24), რონდო (23), ალენი (22), გარნეტი (21 ქულა, 12 მოხსნა)

ორლანდო: ჰოვარდი (23 ქულა, 14 მოხსნა), თურქოღლუ (19), ლუისი (15)

**საკრამენტო 105:106 დენვერი**

საკრამენტო: არტესტი (24 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი, 4 ჩაჭრა), მილერი (22), სალმონსი (14)

დენვერი: ენტონი (30 ქულა, 12 მოხსნა), აივერსონი (21), კემბი (19 ქულა, 14 მოხსნა)

ამერიკის უცნობილეს საკალათბურთო არენაში, „მედისონ სკვერ გარდენში“ მასპინძელ „ნიუ იორკ ნიქსს“ და სტუმარ „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ შორის შეხვედრა რომ დასრულდა, გამარჯვებულთა ლიდერი კობი ბრაიანტი დიდების ტალღებში ბანაობდა, გულშემატკივრებს ესალმებოდა, ჟურნალისტებს უღიმოდა, თანაგუნდელებისგან მილოცვებს იღებდა და კმაყოფილი იერით არიგებდა ავტოგრაფებს.

შეიძლება, ბრაიანტმა ვერ აისრულოს სანუკვარი ოცნება და თავისი თამაშის სტილისა თუ ხასიათის გამო ვერ გახდეს MVP ანუ სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, რითაც ის ნბა-ში ჯილდოთა სრულ კოლექციას შეაგროვებდა, მაგრამ მან ბევრ რამეს მიაღწია და ამ თამაშშიც ერთი ისეთ ნიშნულს უწია, რომ კმაყოფილების მიზეზი ნამდვილად ჰქონდა.

ბრაიანტმა „ნიქსს“ 39 ქულა ჩაუგდო. მესამე მეოთხედში მორიგი სამქულიანი რომ მოინადირა, მან კარიერაში ნაგროვები მარაგი 20 ათასი ქულამდე დაამრგვალა. მთავარი კი ისაა, რომ ის გახდა ასოციაციის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, ვინც ეს ზღვარი გადალახა, თორემ ისე 20 ათასი ქულა მის გარდა კიდევ ბარე 30 ნბა-ელს აქვს ნაშოვნი.

ბრაიანტამდე რეკორდი ეკუთვნოდა ლეგენდარულ უილტ ჩემბერლენს, რომელმაც 20 ათასი 29 წლისამ და 134 დღისამ შეასრულა, ბრაიანტი კი „მხოლოდ“ 29 წლისა და 122 დღისაა. ამ სიაში მესამეა მაიკლ ჯორდანი, ვინც 20 ათასს 29 წლისამ და 326 დღისამ უწია. ისე სათქმელია, რომ უილტსაც და მაიკლსაც კობიზე ბევრად ნაკლები თამაში დასჭირდათ. ბრაიანტმა მათზე გაცილებით ადრე დაიწყო კარიერა.

მაგრამ ეს ყველაფერი დეტალებია, რომლისთვისაც „ლეიკერსის“ სუპერვარსკვლავს დიდი ყურადღება არც მიუქცევია, პირიქით, ის თვითონ მოექცა ყურადღების ცენტრში და ჯერ თამაშში, შემდეგ კი გასახდელშიც და პრესკონფერენციაზეც ამ ყურადღების და დიდების ყოველი წამით ტკბებოდა.

„მარშან ამ დარბაზში თამაში გამოვტოვე და ახლა მიხარია, რომ ასე დავბრუნდი — ამბობდა ის — „მედისონ სკვერ გარდენი“ მუდამ იყო და იქნება ჩემი უსაყვარლესი დარბაზი.“

**კოტე ყორშია**

# საშობაო სურვილები ქართულად და ახალზელანდიურად



## გია ლაბაძე: ჩვენი ლელო გაგვეტანოს! ალავერდი „სარბიელისგან“: ჩვენი სადღეგრძელო გაგვეტანოს!

ტანა უმაგა ფრანგული „ტულონის“ მწვრთნელია, იმ „ტულონისა“, სადაც შარშან თავისი დიდი სარაგბო კარიერა დაასრულა. „ტულონს“ კი ჩვენი გია ლაბაძეც კაპიტნობს, რომელიც ახალზელანდიელ ლეგენდას გაცნობისთანავე დაუძმაკაცდა და გაზაფხულზე მასთან ვრცელი ინტერვიუც გაგვიხერხა. ამჯერად ტანას და გიას საშობაო ინტერვიუსთვის შევეხმიანეთ და უარი არც ახლა მიგვიღია. არადა, მწვრთნელ-შეგირდი მთლად კარგ ხასიათზე ვერ იყვნენ, რაკილა საშობაო შვებულებამდე „ტულონმა“ საფრანგეთის ჩემპიონატში პრინციპული მატჩი წააგო „აჟენთან“...

## ტანა უმაგა: გელით ახალ ზელანდიაში და გისურვებთ ფუროს!




— „აჟენთან“ მარცხმა საშობაო განწყობა ძალიან გაგიფუჭათ?

**უმაგა**: ეს პრინციპული მატჩი იყო. რომ მოგვეგო, ფაქტობრივად, ყველაფერი გარკვეული იქნებოდა. ჩვენ მაინც პირველ ადგილზე ვართ, უახლოეს მდევარს შვიდი ქულით ვუსწრებთ და დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში ელიტ 1-ში ვითამაშებთ. ამ მარცხისგან ტრაგედია არ შეგვიქმნია, უბრალოდ, კარგი იქნებოდა, შობას უკეთეს ხასიათზე შევხვედროდით.

**ლაბაძე**: მეც ასე ვფიქრობ. „აჟენისთვის“ რომ მოგვეგო, პირველ წრეს გამარჯვებით და მდევრებთან ათქულიანი ჰანდიკაპით დავასრულებდით, თუმც უსაშველო არაფერი მომხდარა. მთელი პირველი წრე მაღალ დონეზე ჩავატარეთ, მეორე ელიტარულ დივიზიონს ვლიდერობთ და თუ შემადგენლობის რეზერვსაც გავითვალისწინებთ, ძალები ბოლომდე გვეყოფა.

— კლუბის უფროსობა უკვე გელაპარაკათ?

**ლაბაძე**: პირველ წრეს ნაახალწლევს შევაჯამებთ და უფროსობაც შედეგს მაშინ შეგვიფასებს. თუმც არა მგონია, შედეგებით უკმაყოფილონი იყვნენ, პირიქით, აქაურ გაზეთებში წერენ, რომ „ტულონი“ შემტევ და ლამაზ რაგბის თამაშობს. თანაც, შედეგიც არის.

**უმაგა**: კლუბის მეპატრონეებს 6 იანვარს შევხვდებით. ახლა საშობაო შვებულება გვაქვს. გუნდი 1 იანვარს შეიკრიბება, რადგან 5 იანვარს „ლა როშელთან“ მატჩი გველის. მეორე დღეს კი შეფებთან ვისაუბრეთ. ვფიქრობ, საპრეტენზიო არაფერი ექნებათ.

— შობას სად შეხვდებით?

**ლაბაძე**: ექვსი წელია, მე და ჩემი ცოლ-შვილი შობას ერთ აქაურ ოჯახთან ერთად ვხვდებით. ამ ოჯახს ტულონში ჩამოსვლის დღიდან დავუახლოვდი და დღესასწაულებზე სულ ერთად ვართ.

**უმაგა**: მე ლონდონში მივფრინავ, იქ ჩემი ძმა მაიკი ცხოვრობს. მაიკი სამოას ნაკრებში თამაშობდა. გეცოდინებათ, სამოელი ვარ, ოღონდ ახალ ზელანდიაში გადავედი საცხოვრებლად და „ოლ ბლექსში“ ვთამაშობდი. ჩემი ძმა კი სამოას ერთგული დარჩა. მერე საკლუბო კარიერა ინგლისში, „ნორთჰემპტონში“ გააგრძელა, ბოლოს 13-კაცა რაგბის თამაშობდა, ახლა კი მწვრთნელია.

— ესე იგი, საშობაოდ თანაგუნდელები ერთად არ იკრიბებით?

**ლაბაძე**: ორი დღის წინ „ტულონის“ პრეზიდენტმა საშობაო წვეულება მოაწყო და ყველა ოჯახებით მიგვიპატიჟა. მე მეუღლესთან და შვილებთან, საბასთან, მედეასთან და ლუკასთან ერთად მივედი. საბა 15 წლისაა და საჩუქრად სათამაშო კომპიუტერი „სონი-ფლეისთეიშენი“ შეხვდა. მედეას მუსიკალური საკრავების კომპლექტი, ლუკას კი საბავშვო ელექტრომობილი აჩუქეს. მე კი სანტა კლაუსთან მივედი და ვთხოვე, ჩემთვის ძილის წამლები ეჩუქებინა.

— რატომ?

— აბა, ახლა ამათ დააწყნარებ? სახლში ავარიების და კაკაფონიის ხმა არ მომასვენებს.

**უმაგა**: მე გიას მწვრთნელი ვარ და ერთი ნაბიჯით ვუსწრებ, ოთხი შვილი მყავს. მათაც იგივე საჩუქრები შეხვდათ, ოღონდ, გიასგან განსხვავებით, ძილის წამლები არ მჭირდება. მეც ბავშვის ჭკუა მაქვს და აურზაურში ავყვები, წამლები კი ჩემს მეუღლეს დასჭირდება. ხუთი დებოშირის დამშვიდებას ნაღდად ვერ შეძლებს. ჯობს, თვითონ დამშვიდდეს.

— საფრანგეთში განსაკუთრებული საშობაო კერძი რომელია?

**ლაბაძე**: ასეთი კერძი იხვის გულ-ღვიძლისგან კეთდება. სუნელებით შეკაზმული მოხრაკული კერძია, რომელსაც ფიგერა ჰქვია. ფიგერას თეთრი, მოტკბილო ღვინო უხდება. ამის შემდეგ ჩასალათებული შებოლილი თევზი მოდის, რომელსაც ბურგუნდიული წითელი ღვინო უნდა დააყოლო, ბოლოს კი დესერტის დროა. საშობაოდ აუცილებელია, ცხრამეტი დასახელების ტკბილეული იყოს სუფრაზე დესერტთან ერთად კი შამპანურის დროა. მე განსაკუთრებით თევზი და შავი ღვინო მიყვარს და შობაზე არ დავიკლებ. 34 წლის ვარ, მთელი ცხოვრება რეჟიმში ვიყავი და საშობაო შვებულებისას ერთი დღე ჩემებურად რომ გავატარო, ნამდვილად მეკუთვნის.

**უმაგა**: გია ნამდვილი პროფესიონალია და ვიცი, იმდენს არ დალევს, რომ ფორმიდან ამოვარდეს. ისე, დალევა მე უფრო მეკუთვნის, მწვრთნელი ვარ და თამაში არ მიწევს. მე შოტლანდიურ ვისკის დავლევ. ინგლისში კი საშობაოდ ინდაურს მიირთმევენ. ყველაზე მეტად პუდინგები მიყვარს, რასაც ჩემი ძმა და მისი მეუღლე არ მომაკლებენ.

— ახალ წელს საფრანგეთში შეხვდებით?

**ლაბაძე**: შობის მეორე დღეს ანდორაში მიმყავს ოჯახი. იქ თოვლია და თხილამურებით ვისრიალებთ. ახალ წელსაც ანდორაში შევხვდებით, ჩემმა ძმაკაცმა სოსო ჭელიძემ დაგვპატიჟა, რომელიც ახლა ანდორის მოქალაქეა და იქაურ ნაკრებში თამაშობს.

**უმაგა**: ახალ წელს ტულონში შევხვდები, მაგრამ ქეიფისგან თავის შეკავება მომიწევს. 1 იანვარს ხომ შეკრება გვეწყება და ყველა საღ გონებაზე და ფიზიკურ მზადყოფნაში უნდა ვიყოთ. თუმც ერთი ჭიქით აუცილებლად აღვნიშნავ ახალი წლის დადგომას.

— და რა სადღეგრძელოს იტყვით?

**უმაგა**: ჩემს ოჯახს და ახლობლებს ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ, ქართველებს კი მომავალ მსოფლიოს თასზე ჩემს ქვეყანაში, ახალ ზელანდიაში გეპატიჟებით. იმედია, საქართველოს ნაკრები კიდევ უფრო დიდ ფუროს მოახდენს, ვიდრე ეს საფრანგეთში შეძლო.

**ლაბაძე**: საფრანგეთში სატელიტური ანტენით ქართულ ტელეარხებს ვუყურებ და ვიცი, რომ ახლა საქართველოში დაძაბული ვითარებაა. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მალე დაწყნარდება და არჩევნებიც მშვიდ ვითარებაში ჩაივლის. საქართველოს სადღეგრძელოს კი ასე ვიტყვი — ჩვენი ლელო გაგვეტანოს!

**ბაჩო სვანიძე**

**მთის თხილამურობა**

# ჯაბა გელაშვილის ტიროლური სლალომი

ქართველ მოთხილამურეებს საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებით არცთუ განებივრებულები ვყავართ, მაგრამ 14 წლის ჯაბა გელაშვილი უკვე ორი წელია, თავის ასაკში ტოლს არავის უდებს. ამჯერად ჯაბამ ავსტრიაში, ტიროლის რეგიონში, 1993-1994 წელს დაბადებულ სპორტსმენთა შორის ინსბრუკის თასზე პირველი ადგილი დაიკავა სლალომში.

ტურნირი 23 დეკემბერს გაიმართა და ნიჭიერმა მოთხილამურემ ასიოდე თანატოლს შორის ორივე ცდაზე საუკეთესო დრო აჩვენა. ეს ტურნირი ძალიან პრესტიჟულია 14-15 წლის სპორტსმენებს შორის და მასში გამარჯვებულს სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ხოლმე. ჯაბას კი თურმე არც ნიჭი დაეწუნება და არც მონდომება. მან შარშანაც რამდენიმე ეტაპზე იმარჯვა იტალიაში გამართულ იგივე რანგის შეჯიბრებებში.

ღლესდღეობით ჯაბა საქართველოს ნაკრებთან ერთად ემზადება ავსტრიაში. საერთოდ, ქართველი მოთხილამურეების უმეტესობა საქართველოში პირობების უქონლობის გამო უცხოეთში წასვლას და იქ ვარჯიშს ცდილობს. არც ჯაბაა გამონაკლისი. მას ამჟამად ავსტრიელი მწვრთნელი ავარჯიშებს. ისე კი, მის აღზრდადაოსტატებაში დიდი წვლილი მიუძღვის გურა აბრამაშვილს.

ტიროლის ტურნირი სეზონის პირველი შეჯიბრება გახლდათ და იმედია, ქართველი მოთხილამურე მომავალშიც მოწინავე პოზიციებზე იქნება.

**ზურაბ მიგრიაული**

**ჩოგბურთი**



# კმაყოფილი მორესმო

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ამელი მორესმომ განაცხადა, რომ ახალი სეზონის პირველ სლემტურნირზე, იანვრის მეორე ნახევარში გასამართ ავსტრალიის ღია პირველობას, სრულ მზადყოფნაში ხვდება.

„ბოლო რამდენიმე კვირა უაღრესად ნაყოფიერად ვივარჯიშე და ამის შედეგი ავსტრალიაში გამოჩნდება. უახლოეს პერიოდში სათამაშო პრაქტიკასაც მივიღებ და მერე სლემტურნირის პირველი მატჩისთვის მზადების დროც დადგება“ — განუცხადა ავსტრალიის ღია პირველობის ოფიციალურ საიტს ფრანგმა ჩოგბურთელმა.

# ესპანელებმა შემადგენლობები დაასახელეს

ესპანეთის კაცთა და ქალთა საჩოგბურთო ნაკრების კაპიტნებმა, ემილიო სანჩეს-ვიკარიომ და მიგელ მარტესმა, ის შემადგენლობები დაასახელეს, რომლებიც დევისისა და ფედერაციის თასებზე ითამაშებენ და პეკინის ოლიმპიადაზე მოსახვედრად იბრძოლებენ.

კაცთა ნაკრების პირველი ნომერი, რა თქმა უნდა, ესპანელთა მთავარი იმედი რაფაელ ნადალია. მის გარდა ქვეყნის პირველ გუნდში ასევე მოხვდნენ დავიდ ფერერი, ტომი რობრედო, ხუან-კარლოს ფერერო, კარლოს მოია, ფერნანდო ვერდასკო, ნიკოლას ალმაგრო და ფელისიანო ლოპესი.

ქალთა ნაკრებში შემდეგი ჩოგბურთელებისთვის გამოინახა ადგილი: ანაბელ მედინა-გარიგესი, ლურდეს დომინგეს-ლინო, ვირხინია რუანო-პასკუალი, ლაურა პოუს-ტიო, ნურია ლაგოსტერა-ვივესი, მარია ხოსე მარტინეს-სანჩესი, კარლა სუარეს-ნავარო და მარტა მარერო.

კაცთა ნაკრებს პირველი გამოცდის ჩაბარება 8-10 თებერვალს მოუწევს, როცა დევისის თასის პირველ წრეში გასვლაზე პერუს ეთამაშება.

თებერვალში ირონავებენ ქალებიც, ოღონდ კაცებზე ერთი კვირით ადრე — 2-3 თებერვალს პირნეელები ფედერაციის თასის მეოთხედფინალში შარშანდელ ჩემპიონ იტალიას უმასპინძლებენ.

# ენინის პეკინი

თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის უპირობო ლიდერმა, ბელგიელმა ჟუსტინ ენინმა უარი თქვა მომავალ სეზონში სანაკრებო ფედერაციის თასზე თამაშზე. ამის მიზეზად ჟუსტინმა პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის უკეთ მომზადების სურვილი დაასახელა.

ენინის პირადმა მწვრთნელმა კარლოს როდრიგესმა განაცხადა, რომ ბელგიის ჩოგბურთის ფედერაციასა და ოლიმპიურ კომიტეტთან ყველაფერი შეთანხმებულია და რომ ჟუსტინი საპეკინოდ საუკეთესო ფორმაში იქნება.





# ჰრბატის მხარი

სამიოდ კვირის წინ ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა დიდი სიამაყით კი გამოაცხადეს, ჩვენთან მსოფლიოს ყველა უძლიერესი მეჩოგნე ითამაშებსო. თუმც ათიოდ დღის წინ ამ სიას გილერმო კანასი გამოაკლდა, ახლა კი დომინიკ ჰრბატიმ განაცხადა, რომ ავსტრალიაში ჩასვლას ვერ შეძლებს. 29 წლის სლოვაკს მხარი სტკივა და ვარჯიშს მხოლოდ იანვრის შუაწელზე დაიწყებს.

# სტოსურის გარეშე

ახლოვდება ახალი საჩოგბურთო სეზონი და ნელ-ნელა იზრდება იმ ჩოგბურთელთა სია, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო სეზონის პირველ სლემტურნირზე, ავსტრალიის ღია პირველობაზე, ვერ ითამაშებენ.

მათ შორის, ვინც „მელბურნ პარკის“ კორტებზე ვერ გავა, ერთ-ერთი საუკეთესო ავსტრალიელი ჩოგბურთელი ქალი სამანტა სტოსურიცაა. 23 წლის სამანტამ, ვისაც WTA-ს რეიტინგში 46-ე ადგილი უკავია, არასაკმარისი ფიზიკური მზადყოფნის გამო თქვა უარი მშობლიურ სლემტურნირში თამაშზე.

**კახა ლომაშვილი**

# სარეიტინგო ადი-ჩადი

ორშაბათს გამოქვეყნებულ პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგების ქვედა ასეულებში მცირე ცვლილებები მოხდა და ეს ცვლილებები ქართველ ჩოგბურთელთა მდგომარეობაზე სასიკეთოდ არ ასახულა — რეიტინგებში კვლავაც 14 ჩვენებურია (ოთხი კაცი და ათი ქალი), ამათგან ცამეტმა წინა კვირასთან შედარებით, მცირედით უკან დაიხია და ერთადერთი, ლადო ჩიხლაძე დარჩა იქ, სადაც იყო.

**კაცები**

| | |
|---|---|
| 372 (0) ლადო ჩიხლაძე | 91 |
| 1213 (-1) ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1479 (-1) გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1479 (-1) გიორგი ჭანტურია | 1 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 184 (-1) მაკა ჩახნაშვილი | 160,0 |
| 285 (-2) ანა ტატიშვილი | 88,0 |
| 409 (-2) სოფო შაფათავა | 46,0 |
| 513 (-3) თინა ყავლაშვილი | 31,0 |
| 592 (-3) სალომე დევიძე | 22,0 |
| 609 (-2) მანანა შაფაქიძე | 21,0 |
| 646 (-3) ოქსანა კალაშნიკოვა | 18,0 |
| 692 (-4) სოფო ქვაცაბაია | 16,0 |
| 807 (-6) ეკა გორგოძე | 10,0 |
| 847 (-3) სოფო მელიქიშვილი | 9,0 |

**ტრამპლინიდან ხტომა**



ანდრეას კუტელი

# მორგენშტერნი მეშვიდე ც(დ)აზე ჩაქრა

ავსტრიელი ტომას მორგენშტერნის განუყოფელ ბატონობას მსოფლიოს ტრამპლინებზე შვეიცარიულ ენგელბერგში დაესვა წერტილი. იქ შაბათს და კვირას მსოფლიოს თასის 2007-08 წლების გათამაშების მორიგი ორი სტარტი გაიმართა და, თუ შაბათს მორგენშტერნმა სეზონის სტარტიდან მოყოლებული, ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა, კვირას ის ოდენ მესამე იყო ტრამპლინის მასპინძლის, 28 წლის ანდრეას კუტელისა და ჯგუფელი თანამემამულის გრეგორ შლირენცაუერის შემდეგ.

იყო იმის დიდი ალბათობა, რომ მორგენშტერნი, სულაც პოდიუმს მიღმა დარჩენილიყო — პირველ ცდაზე საუკეთესო შედეგის მქონე კიდევ ერთი ავსტრიელი ანდრეას კოფლერი ბოლოს ხტებოდა და ყველაზე შორს, 139 მეტრზეც გაფრინდა, მაგრამ დაშვებისას შეცდა, დაეცა და საბოლოო ჯამში მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

მიუხედავად ამ მცირე შეფერხებისა, გენერალურ კლასიფიკაციაში მორგენშტერნი კვლავაც დიდი უპირატესობით ლიდერობს და მეორე ადგილზე მყოფ 17 წლის შლირენცაუერს 231 ქულით უსწრებს.

ახლა ტრამპლინიდან მხტომელებს მცირე საშობაო შესვენება აქვთ, 30 ოქტომბრიდან კი ლეგენდარული და უპოპულარულესი შეჯიბრი, „ოთხი ტრამპლინის ტურნე“ გახურდება, რომელიც გერმანულ ობერსდორფში დაიწყება, გერმანიაშივე, გარმიშ პარტენკირხენის ახლად რეკონსტრუირებულ ტრამპლინზე გაგრძელდება და შემდეგ ავსტრიაში, ინსბრუკისა და ბიშოფსჰოფენის ტრამპლინებზე დასრულდება.

**მსოფლიოს თასი. ენგელბერგი. შვეიცარია. 23 დეკემბერი**

**პირადი. HS 137**

| | |
|---|---|
| 1. ანდრეას კუტელი (შვეიცარია) | 252,7 ქულა (125,5 მ და 136,0 მ) |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 248,9 (124,5 და 136,0) |
| 3. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 246,6 (124,5 და 135,0) |
| 4. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) | 246,3 (122,5 და 136,0) |
| 5. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) | 243,2 (130,0 და 139,0) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 660 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 429 |
| 3. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) | 300 |
| 4. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) | 293 |
| 5. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 280 |

ხელბურთი

# დათუკაშვილს გააქვს, ლიუბეკი აგებს

**საქართველოს** ნაკრების ხელბურთელის სერგო დათუკაშვილის „ლიუბეკმა“ გერმანული ბუნდესლიგის მორიგ ტურში გასვლითი თამაში ბერლინში „ფუქსთან“ 26:34 წააგო და სატურნირო ცხრილის ფსკერზე მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე ადგილებს იყოფს „მინდენთან“. ჩვენებურის გუნდი გამარჯვების შემთხვევაში „ფუქსს“ ცხრილში ადგილს უცვლიდა და მე-15 პოზიციას იკავებდა, მაგრამ...

სერგომ ბერლინელებს 7 ბურთი გაუტანა და ბომბარდირთა დავაში ისევ მეექვსეა, თუმც კონკურენტებთან სხვაობა შეამცირა და 17 მატჩში დაგროვებული 105 ბურთის მერე ლიდერ არნე ნეიმაიერს 6 გოლით ჩამორჩება, მეორე ადგილზე მყოფ კონრად ვილჩინსკის კი — 4-ით.

ზამთრის არდადეგებამდე „ლიუბეკი“ კიდევ ორ თამაშს გამართავს (26 და 29 დეკემბერს), ერთს გასვლაზე და ერთსაც შინ. ამის შემდეგ დათუკაშვილს შეეძლება, თბილისში ჩამოვიდეს და ნაკრებს შეუერთდეს.

**ლექსო მაისურაძე**




# წლის გერმანელები

**გერმანიის** 2007 წლის საუკეთესო სპორტსმენებად ბიატლონისტი ქალი მაგდალენა ნოინერი და სპორტულად ტანმოვარჯიშე კაცი, ლერძზე ვარჯიშში მსოფლიოს ჩემპიონი ფაბიან ხამბუჰენი დაასახელეს.

20 წლის ნოინერმა ბიატლონისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთბაშად სამი ოქროს მედალი მოიპოვა, წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენ გამოკითხვაში 3410 ქულა მიიღო და შორს ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული ბადროს მტყორცნელი ფრანკი დიტცში (2373), ვის აქტივშიც მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალია.

უფრო დიდი უპირატესობით იმარჯვა ხამბუჰენმა, რომელმაც გერმანულ ტანვარჯიშს ბოლო 10 წელიწადში პირველი მსოფლიო ტიტული მოუპოვა. მან გამოკითხვაში 4575 ხმა მიიღო და შორს ჩამოიტოვა კონკურენტები, მათ შორის NBA-ს სუპერვარსკვლავი და გასული სეზონის WVP დირკ ნოვიცკი, ვისაც 1530 ხმით ოდენ მესამე ადგილი ხვდა.

წლის გუნდად 4677 ხმით მსოფლიოს ჩემპიონი ხელბურთელ კაცთა ნაკრები დასახელდა, რომელმაც მცირედით, 569 ხმით აჯობა ასევე მსოფლიო ჩემპიონ ფეხბურთელ ქალთა ნაკრებს.

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

23 დეკემბერი

**პიტსბურგი 4:2 ბოსტონი**
*0:1 3:0 1:1*
0:1 აქსელსონი (4), 1:1 რობერტსი (23), 2:1 მალკინი (34), 3:1 ლარაკი (34), 3:2 ნოკელაინენი (60), 4:2 რობერტსი (60)

**კოლუმბუსი 1:3 ნეშვილი**
*0:0 0:1 1:2*
0:1 ლეგვანდი (35), 1:1 ფრიტშე (52), 1:2 დიუმონი (60), 1:3 ორტმაიერი (60)

**სენტ ლუისი 2:3 ატლანტა**
*0:0 1:1 1:1 0:1 (ოვერტაიმში)*
1:0 ჯეკმენი (28), 1:1 კოვალჩუკი (37), 2:1 ტკაჩუკი (46), 2:2 რეკი (51), 2:3 პოსა (61)

**რეინჯერსი 1:3 ოტავა**
*1:1 0:1 0:1*
1:0 გომესი (4), 1:1 სპეცა (17), 1:2 კელი (33), 1:3 ფიშერი (50)

**ჩიკაგო 3:2 ედმონტონი**
*1:2 1:0 1:0*
1:0 სიბრუკი (7), 1:1 ჯილბერტი (9), 1:2 პენერი (12), 2:2 შარპი (38), 3:2 სიბრუკი (42)

**კოლორადო 3:1 ვანკუვერი**
*0:0 1:1 2:0*
1:0 სვატოში (24), 1:1 პაიეტი (27), 2:1 მაკორმიკი (51), 3:1 ბრიუნე (53)

**კალგარი 0:1 ნიუ ჯერსი**
*0:0 0:0 0:0 0:1 (ოვერტაიმში)*
0:1 ელიაში (61)

**დალასი 4:1 მონრეალი**
*2:0 0:0 2:1*
1:0 მიტჩენი (8), 2:0 მოროუ (12), 3:0 რიბეირო (42), 4:0 ბარნსი (44), 4:1 მარკოვი (54)

კრივი


პოლ უილიამსი


# უილიამსს ქამრების გაერთიანება უნდა

## მეივეზერი უწესოდ ფიქრობს

**ნახევრადსაშუალო** წონაში WBO-ს ვერსიით ჩემპიონ პოლ უილიამსს ქამრების გაერთიანების სურვილი არ ასვენებს. ამერიკელს უნდა, უკვე მომავალ წელს უწიოს მიზანს და ამიტომ ორიოდ თვის წინ WBA-ს ქამრის მომგებ მიგელ კოტოსთან დაჯახება ამოუჩრია გულში. თუმც სანამ კოტოს გამოწვევის შანსი ექნება, უილიამსს ტიტულს დაცვა მოუწევს — 9 თებერვალს ის პუერტორიკოელ კარლოს კვინტანას ხვდება. წესით, ამერიკელი IBF-ს ქამრის მფლობელ კერმიტ ცინტრონს უნდა დაჯახებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვარჯიშზე ხელი დაიზიანა და ბრძოლაზე უარი თქვა.

თავად უილიამსს ახლა ის უფრო აღელვებს, კოტო დათანხმდება თუ არა მასთან რინგზე გასვლას, რადგანაც დარწმუნებულია, რომ კვინტანას ადვილად მოერევა:

„ძალიან მინდა კოტოსთან ჩხუბი. მართალია, ამისთვის თებერვალში უნდა ვიმარჯვო, მაგრამ აქ უეჭველი ფავორიტი ვარ და, მგონი, არ უნდა გამიჭირდეს მოგება“.

უილიამსს უფრო შორს მიმავალი გეგმებიც აქვს და ნახევრადსაშუალო წონაში კიდევ ერთ ჩემპიონ, ფლოიდ მეივეზერთან ჯახსაც გეგმავს. მაგრამ რაკი ფლოიდმა რიკი ჰატონის დამარცხების შემდეგ თქვა, ზაფხულამდე აღარ ვიჩხუბებო, ამერიკელსაც უახლოეს მიზნად კოტო ამიტომ ამოუღია:

„მეივეზერი ამ წონის უდავო ლიდერია. მას კოტო მოჰყვება და მერე მე მოვდივარ. ჩემთვის სულერთია, რომელს შევხვდები — უბრალოდ, საჭიროა, რომ ქამრების გამაერთიანებელი ბრძოლები გაიმართოს და წონის საუკეთესო მოკრივედ, როგორც ძველად, ის დასახელდეს, რომელსაც ყველა ქამარი ხელთ ექნება“.

მეივეზერი ამ ახალ გამოწვევას სრულიად გულგრილად შეხვდა. ჩანს, მას კრივი მობეზრდა და ახლა უნდა, წესების გარეშე ბრძოლაში სცადოს ბედი. საამისოდ ფლოიდი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს თავის მეგობარსა და ნბა-ს კლუბ „დალას მევერიქსის“ მფლობელ მარკ კუბანთან. საქმე იმაშია, რომ კუბანს თავისი პრომოუტერული კომპანია აქვს და ამ სფეროში ერთ-ერთი ავტორიტეტული ადამიანია.

„ფლოიდს რაიმე ექსტრაორდინალურის კეთება ნამდვილად არ მოუწევს. მე მას უკვე მივმართე საკმაოდ მომხიბვლელი წინადადებით — ახლა ის უნდა დაფიქრდეს, უნდა თუ არა ამის გაკეთება“ — განაცხადა კუბანმა.

**კახა ლომაშვილი**

ავტორბოლა

# სილვერსტოუნის საშობაო სასწაული

**ამ ფაქტს** ბრიტანული პრესა საშობაო სასწაულად მიიჩნევს, ხოლო იქაური პოლიცია — თავისი მუშაობის ეფექტურობის მაჩვენებლად. საქმე ისაა, რომ რვა წლის წინ სილვერსტოუნში ლეგენდარული მრბოლის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ გრემ ჰილის ბრინჯაოს ქანდაკება დაიკარგა. მაშინ „ცხელ კვალზე“ მოპარულს ვერ მიაგნეს და ინციდენტიც თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ მოულოდნელად მანჩესტერში ერთ-ერთი, 47 წლის ეჭვმიტანილის ბინის ჩხრეკისას ერთმა პოლიციელმა, რომელიც ავტორბოლების მოყვარული აღმოჩნდა, ნაპოვნ ფიგურაში ფორმულა 1-ის ვარსკვლავი შეიცნო.

— ეს საშობაოდ შესანიშნავი საჩუქარია, უკეთესზე ვერც ვიოცნებებდით — ჟურნალისტებს განუცხადა ბრიტანეთის საავტომობილო კლუბის წარმომადგენელმა.

**გია ახალაძე**

# მოჭიდავეებს გარჯა დაუფასდათ

**გუშინ** კაფე „მსოფლიო სპორტში“ კომპანია „ოლიმპიურმა ვარსკვლავმა“ წარმატებული მოჭიდავეები ფულადი პრემიებით დააჯილდოვა. ბერძნულ-რომაულში, თავისუფალსა და ძიუდოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ-პრიზიორებს 5000, 3000, 2000 აშშ დოლარი ანსამბლ „ფესვების“ სიმღერების თანხლებით გადაეცათ.

მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორებს ლაშა გუჯეჯიანს, ბადრი ხასაიას და ოთარ თუშიშვილს ორ-ორი ათასი აშშ დოლარი გადაეცათ; მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, უბერებელი ნესტორ ხერგიანი 3000 დოლარით დაჯილდოვდა, ხოლო რამაზ ნოზაძეს, ირაკლი ცირეკიძეს და დავით ბედინაძეს მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ხუთ-ხუთი ათასი დოლარი ერგოთ.

მშენებარე კომპლექს „ორთაჭალის ვარსკვლავში“ ოროთახიანი ბინები გადაეცათ ზაზა კედელაშვილსა და რამაზ ნოზაძეს. შერჩეულია 30 ხელმოკლე სპორტსმენი, რომელთაც კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავი“ ასევე ფულადი თანხით დაეხმარება.

**ზურაბ მიზრიაული**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ნახტომი

ეს ამერიკული ფეხბურთისთვის ჩვეული შეჩერებაა: ნიუიორკელი ერიკ სმიტი (33) ტენესელ ვილიამსს ნახტომით აჩერებს. ჩიკაგოელ პოლიციელსაც მოუწია საფეხბურთო ნახტომით შეეჩერებინა მთვრალი ფანი, რომელიც ჩიკაგოელთა დახმარებას ლამობდა გრინ ბეის გუნდის წინააღმდეგ.









# მომჯობინებული

ამერიკული ფეხბურთი ისეთი სპორტია, რომ ხეიბრობაც ახლავს ხოლმე.

ასე ფიქრობდნენ, რომ ბუფალოელი კევინ ევერტი ფეხზე ველარც გაივლიდა: მან მძიმე ტრავმა სეზონის პირველივე თამაშში მიიღო, მაგრამ სამი თვე გავიდა, კევინი წამოდგა და თავისიანების მხარდასაჭერადაც მივიდა ნიუიორკელებთან მატჩზე.




# ჩემპიონი საქმეში

ლორი მანადუ, ფრანგთა ოლიმპიური ჩემპიონი ცურვაში ახლა კარგ ფორმაშია და ყოფილ მწვრთნელ ფილიპ ლუკასთან ერთად, ლანვედოკის საერთაშორისო საკლუბო ჩემპიონატში ჩასაბმელად მზადაა.

# ცივი უკეთესია

ლადოვ მედვედეს მოცურავეთა კლუბი აი, ასე აღნიშნავს ხოლმე კათოლიკური შობის მოახლოვებას. თავისთავად იგულისხმება, რომ რაც უფრო ცივია წყალი, მით უკეთესია. ეს ამბავი კი, დრაჟდიაკის ტბაში ხდება სლოვაკური ბრატისლავის მახლობლად.



# ისევ სასამართლო

განთქმულ ბეისბოლისტს ბარი რონდსს კვლავ სასამართლო ელის. დოპინგსკანდალში გახვეულს, სასამართლოში სიცრუეც ედება ბრალად. ეს ამბავი ბარე ოთხი წელია გრძელდება.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კოჩა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი კაშაკაძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge